

**მიკრომენარეობა, როგორც სიღარიბესთან
ბრძოლის საშუალება
ანგარიში და რეკომენდაციები**

2013



კვლევა ჩატარდა და გამოიცა სათემო განვითარების ცენტრის, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრისა და საქართველოს მცირე და საშუალო სანარმოთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის „მიკრომენარმეობა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის ინსტრუმენტი“ ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) მხარდაჭერითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის ავტორები: თამარ ბრეგვაძე, ბესო სულაბერიძე, ტატო ხუნდაძე
პროექტის გუნდი: ანა მარგველაშვილი, ირინა ხანთაძე, კახა კობრეძე, ნინო ოდიშვილი, ნინო სანადირაძე

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ორგანიზაციების: ქალთა ფონდი საქართველო, Care International, OXFAM, Mercy Corp, საქართველოს სკაუტური მოძრაობა, ფონდი „აფხაზინტერკონტი“, World Vision, ACF, „ადამიანი გაჭირვებაში“ დახმარების შედეგად.

პუბლიკაციის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI შეხედულებებს.

The content of this publication do not necessarily reflects the view of USAID, the United States Government, or EWMI.

სარჩევი

1. შესავალი	4
2. მეთოდოლოგია	7
3. ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა	8
4. მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდამჭერი პროგრამები საქართველოში	11
4.1. სტარტაპ გრანტების სპეციფიკა	13
4.2. სტარტაპ გრანტების დისტრიბუციის გეოგრაფია და ბენეფიციარების შერჩევის სტრატეგია	14
4.3. სასწავლო კომპონენტი	14
5. მიკრომენარმეობის მხარდამჭერი ინიციატივების მიზნები და შედეგები საქართველოში	15
5.1. სტარტაპ გრანტი, როგორც სანყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობის გაზრდის დამოუკიდებელი ინსტრუმენტი	16
5.2. მცირე გრანტი, როგორც სანყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობის გაზრდის თანმდევი ინსტრუმენტი	17
5.3. სტარტაპ გრანტი, როგორც ზრდასრულთა განათლების ინსტრუმენტი	18
5.4. სტარტაპ გრანტი და თემის განვითარება	20
5.5 სტარტაპ გრანტების სოციალური ფუნქცია	20
6. ჩართულობა, მდგრადობა და სტარტაპ გრანტების განხორციელების თანამდევი რისკები	22
7. სისტემური საკითხები და სახელმწიფოს როლი	27
8. მიკრომენარმეობის მხარდამჭერი საგრანტო სქემები - საერთაშორისო გამოცდილება და შედეგები	28
9. მთავარი დასკვნები	34
10. რეკომენდაციები	36
11. ანგარიში მიკრომენარმეობასთან დაკავშირებული საგრანტო პროგრამების მხრივ, პოლონეთში არსებული გამოცდილების შესახებ	39
12. სტარტაპ საგრანტო პროგრამებში მონაწილეთა მაგალითები	49

1. შესავალი

2013 წლის მაისში არასამთავრობო ორგანიზაცია სათემო განვითარების ცენტრმა (CDC) კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციასთან (GSMEA) პარტნიორობით დაიწყო პროექტის „მიკრომენარმეობა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის საშუალება“ განხორციელება. პროექტის მიზანია, ერთი მხრივ, მცირე მენარმეობის მხარდამჭერი პროგრამების თვალსაზრისით გააანალიზოს საქართველოს არასამთავრობო სექტორში არსებული გამოცდილება, მეორე მხრივ კი, ამ ანალიზზე დაყრდნობით, მოამზადოს საქართველოს მთავრობისა და საკუთრივ ამ სფეროში მომუშავე აქტორებისთვის შესაბამისი ანგარიში და გაუწიოს სათანადო რეკომენდაციები.

ორგანიზატორების მიერ პროექტის ინიცირება განაპირობა სამმა ძირითადმა მიზეზმა: უშუალოდ სიღარიბის პრობლემის სიმწვავემ, ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით ბოლო წლებში პერიოდში გადადგმული ნაბიჯების ნაკლებეფექტიანობამ და ახლად არჩეული მთავრობისაგან მცირე მენარმეობის, როგორც სიღარიბის დაძლევისა და სოციალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტის მიმართ ინტერესის გაჩენამ.

- **სიღარიბის პრობლემის სიმწვავე** - სხვადასხვა გათვლებით, საქართველოში ღარიბთა რაოდენობა აღწევს 1 მილიონ ადამიანს (მსოფლიო ბანკის ბოლო კვლევების მიხედვით საქართველოში სიღარიბის დონე 25 პროცენტია).¹ ექსპერტთა მოსაზრებით, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 10 %, რაც დაახლოებით 440 ათას ადამიანს შეადგენს.² სიღარიბის პრობლემას უფრო მეტ სიმწვავეს მატებს ის გარემოება, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში სიღარიბის ზრდის ტენდენცია საკმაოდ მდგრადია.

- **ბოლო პერიოდის განმავლობაში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში გადადგმული ნაბიჯების ნაკლებეფექტიანობა** - 2003-2012 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ვერ მოხერხდა გარდატეხის შეტანა სიღარიბის დაძლევაში. ამ პერიოდის განმავლობაში სოციალური პროგრამები ძირითადად სიღარიბის სიმპტომების და არა მათი გამომწვევი მიზეზებისა აღმოფხვრას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან საქართველოს მთავრობა შეუდგა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების რეგისტრაციას, რის საფუძველზეც შემდგომ წლებში დაიწყო შესაბამისი სოციალური დახმარებების გაცემა.

1. The World Bank, 2009, <http://data.worldbank.org/country/georgia>

2. „საქართველოში 1 მილიონი ადამიანი ღარიბია, ხოლო 440 ათასი ადამიანი - უკიდურესად ღარიბი“ „ამერიკის ხმა“, დ. გუგუშვილი, 2013, <http://www.amerikiskhma.com/content/article--1-----440-----96756439/530029.html>

დამატებით საქართველოს მთავრობამ განახორციელა სტრუქტურული რეფორმები, რომელთა წყალობითაც მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციის დონე და გამარტივდა ბიზნესის წარმოების რეგულაციები. მთავრობის მხრიდან ამ ნაბიჯების გადადგმას თითქოს ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა სიღარიბის დონის შემცირება, მაგრამ ამ მიმართულებით მან ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწია. ნეოლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელის არსებობის პირობებში, საქართველოს მთავრობამ ბოლო წლებში ფაქტობრივად უარი თქვა დასაქმების პოლიტიკის ცენტრალიზებულად გატარებაზე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2006 წელს გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ“.³ დასაქმების პოლიტიკის არქონამ გამოიწვია უმუშევრობის დონის ზრდა (განსაკუთრებით სოფლად), რაც, თავის მხრივ, პროპორციულად აისახა სიღარიბის დონის მატებაზე. იმ პირობებში, როცა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, ხოლო 55 პროცენტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, სოფლის მეურნეობის მიმართ არათანამიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა სიღარიბის ზრდის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა.⁴ ამას დამატა ისიც, რომ 2003 წლის შემდეგ გატარებული ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად სამუშაო ადგილები უფრო მეტი გაუქმდა, ვიდრე შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მშენებლობა, საბანკო სექტორი, წიაღისეული და სახელმწიფო სექტორი, გაიზარდა სამუშაო ადგილებისა და ხელფასის ოდენობა, ამან მაინც ვერ მოახდინა დიდი გავლენა დასაქმების გაზრდაზე და, შესაბამისად, სიღარიბის შემცირებაზე, რადგან ამ სექტორების წილი საერთო დასაქმების ბაზარზე საკმაოდ დაბალია.⁵

• **ახლად არჩეული მთავრობისაგან მცირე მენარმეობის, როგორც სიღარიბის დაძლევისა და სოციალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტის მიმართ ინტერესის გაჩენა -** 2013 წლის ივლისში საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო გეგმავს ე.წ. სტარტაპების ფონდის შექმნას, რომელიც დააფინანსებს სტარტაპ კომპანიებს და ინოვაციურ იდეებს. მისივე თქმით, „...დასაქმების კუთხით ერთ-ერთი მნიშ-

3. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი), „სიღარიბის დაძლევა და სოციალური სტაბილურობა“. ციური ანთაძე, 2010, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0-0-0---0prompt-10--%2e4--4--0-11-11-ka-10---10-preferences-50-00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.6&d=HASH2097cf9988510f51cfd72.4.2>

4. მთავრობის შეცდომა პირველ რიგში ის იყო, რომ სოფლის მეურნეობა არაპროგრესულ დარგად გამოაცხადა - იმ პირობებში, როცა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, საქართველოს მთავრობამ 2010 წელს ამ დარგს ბიუჯეტის 1 პროცენტზე ნაკლები მოახმარა.

5. World Bank, "Georgia Poverty Assessment," April 2009, 1, www.wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2009/04/29/000350881_20090429111740/Rend_ered/PDF/444000ESWOP1071C0Disclosed041281091.pdf

ენელოვანი ნაბიჯი სწორედ სტარტაპ კომპანიების დაფინანსება იქნება“.⁶ მცირე მენარმეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ინიციატივებსაც. კერძოდ, დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივა ითვალისწინებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილებისთვის მცირე მენარმეობის პროგრამების დაფინანსებას მათი სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრო მცირე მენარმეობის მხარდაჭერ საგრანტო პროგრამებს სთავაზობს პრობაციონერებს, რაც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს პრობაციონერთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, მეორე მხრივ კი - მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი მიზეზების გამო გაჩნდა ინტერესი, რომ პირველ რიგში ჩატარებულიყო კვლევა, რომელიც გააანალიზებდა მცირე მენარმეობის სფეროში სამოქალაქო სექტორის გამოცდილებას და შემდგომ ეტაპზე ამ ანალიზის შედეგებს შესთავაზებდა სახელმწიფო უწყებებს. ასეთი ტიპის სამუშაოს ჩატარებას აქტუალობა შესძინა იმ ფაქტმაც, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება და ამ გამოცდილების გაზიარებამ, შესაძლოა, სახელმწიფო უწყებებს მნიშვნელოვნად გაუადვილოს ასეთი პროგრამების ეფექტიანად შესრულება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოში მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამების მოდელების, მათი განხორციელების სპეციფიკისა და წარმატებული მაგალითების აღწერას. ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია ამ სფეროში მომუშავე ათამდე ორგანიზაციის გამოცდილებისა და ამ პროგრამების უშუალო ბენეფიციარების მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის პროცესში შეირჩა მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პროგრამების სფეროში მომუშავე ათამდე ორგანიზაცია, რომელთა წარმომადგენლებთანაც ჩატარდა ჩალრმავებული ინტერვიუები. წინამდებარე ანგარიშზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფმა მსგავსი ტიპის პროგრამების პირდაპირ ბენეფიციარებთან მუშაობის დროს გამოიყენა ფოკუს-ჯგუფის მეთოდიც. გარდა ამისა, ჯგუფმა გააანალიზა საერთაშორისო გამოცდილებაც, მათ შორის დეტალურად შეისწავლა პოლონეთის მოდელი.⁷

6. „ხელისუფლება დამწყები კომპანიების დაფინანსებისთვის სპეციალურ ფონდს ქმნის“, 2013, <http://commersant.ge/?page=news&id=2198#.UfgKBmcewHW.facebook>

7. პოლონური გამოცდილების შესახებ, ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ Rzeszow Regional Development Agency

ამ თემაზე ამგვარი ტიპის კვლევა აქამდე არ ჩატარებულა და კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა (იხ. შემდეგი თავი, კვლევის მეთოდოლოგია), რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელია შემდგომში დამატებითი კვლევების ჩატარებით. მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, ავტორები იმედოვნებენ, რომ წინამდებარე ანგარიში ხელს შეუწყობს მცირე მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამების თვალსაზრისით არსებული გამოცდილების გააზრებას და, ასევე, იმასაც, რომ იგი დაეხმარება სახელმწიფო უწყებებს უფრო ეფექტიანად წარმართონ თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით.

2. მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იყო ჩალრმავებული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის ტექნიკა. მკვლევართა ჯგუფმა პროექტის კოორდინატორთან ერთად, პირველ ეტაპზე ჩაატარა შერჩევა, რა დროსაც დამყარდა კონტაქტი მცირე მენარმეობის მხარდაჭერი საგრანტო პროგრამების განმახორციელებელ ძირითად ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შემდგომ ეტაპზე, მკვლევართა ჯგუფის მიერ დამუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა ჩალრმავებული ინტერვიუები. მკვლევრებმა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი გამოიყენეს ზემოთ აღნიშნული ტიპის პროგრამების პირდაპირ ბენეფიციარებთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა ჩატარდა მხოლოდ ორი პროექტის სამიზნე ფოკუს-ჯგუფებთან, რაც შეიძლება კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში მკვლევარებმა გამოიყენეს მეორადი წყაროები, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და უშუალოდ საგრანტო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ანგარიშები. ასევე, კვლევის პროცესში მკვლევრებმა აქტიურად გამოიყენეს აკადემიურ სფეროში ამ თემაზე არსებული ლიტერატურა. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშის მომზადების დროს პოლონელმა პარტნიორებმა შეიმუშავეს მცირე ანალიტიკური ნარკვევი, რომელიც ეხება პოლონეთის გამოცდილებას მცირე ბიზნესის მხარდაჭერი პროგრამების განხორციელებაში (იხ. დანართი).

კვლევის პროცესში გამოიკვეთა სამი ძირითადი შეზღუდვა:

- კვლევამ ვერ მოიცვა ყველა ის ორგანიზაცია და პროექტი, რომელიც მიმართულია მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პროგრამების განხორციელებისაკენ. შესაბამისად, ამ მხრივ კვლევის არეალი შემცირებულია.
- კვლევის პროცესში კვლევა ფოკუს-ჯგუფთან ჩატარდა მხოლოდ ორი პროექტის ბენეფიციარებთან, როგორც ეს პროექტის დაგეგმვისას გადაწყდა. მკვლევართა ჯგუფმა დროის და ადამიანური რესურსების სიმცირის გამო შეუძლე-

ბლად მიიჩნია ამ მეთოდის გამოყენება სხვა პროექტის ბენეფიციარებთან.

• კვლევის პროცესში გამოყენებული ანგარიშები მეორადი წყაროებია. მკვლევართა ჯგუფი ამ ანგარიშებიდან შესაბამისი მასალის გამოყენების დროს მთლიანად ეყრდნობა მათ ავტორებს, რადგან მათ არ ჰქონდათ შემოწმების საშუალება. როდესაც ასეთი ტიპის ანგარიშებზე ვლავარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვით კიდევ ერთ შეზღუდვას. კერძოდ, შერჩეული ორგანიზაციების წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა შესაბამისი ანგარიშების მოწოდება. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ინტერვიუების საშუალებით მიღებულ ცნობებს.

3. ეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა

2008-2013 წლებში საქართველოს ეკონომიკა არათანაბრად ვითარდებოდა. რუსეთთან საომარი კონფლიქტისა და გლობალური კრიზისის ზემოქმედების შემდგომ პერიოდში საქართველო რეცესიული მდგომარეობიდან გამოვიდა, მაგრამ ვეღარ შეძლო გაეგრძელებინა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც განპირობებული იყო, როგორც მაკროეკონომიკური, ასევე ინსტიტუციონალური და პოლიტიკური ფაქტორებით.

2008 წლის მეორე ნახევარში წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მკვეთრად დაეცა - 2.3 პროცენტამდე. დაცემა შეინიშნებოდა თითქმის ყველა სექტორში. შემდგომ წლებში იგი რყევებით გამოირჩეოდა. 2008-2012 წლებში მშპ საშუალოდ წლიური 3.6 პროცენტით გაიზარდა. 2012 წლის მეორე ნახევარში დაიწყო ეკონომიკური აქტივობის შენელება და საშუალო წლიურმა ზრდამ 2.4 პროცენტი შეადგინა. მშპ-ს ზრდის ტემპი ემყარებოდა ტრადიციული სფეროების - გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საფინანსო შუამავლობის - ზრდის მაღალ ტემპებს. ამ წლებში ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავდა, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ სექტორებში მოხმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვლილებები. 2008-2012 წლებში მოხმარების წილი მთლიან მშპ-ში ინვესტიციებს თითქმის 3,2-ჯერ აჭარბებდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის დარგების განვითარებას უზრუნველყოფდა, განსაკუთრებით 2005-2008 წლებში და იგი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ენერჯეტიკისა და გადამამუშავებელი დარგები. 2008-2012 წლებში საგარეო ვაჭრობაში გაგრძელდა ის ტენდენციები, რომელიც საქართველოს ახასიათებდა წინა წლებშიც - საგარეო ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი გაუარესდა. 2008-2012 წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო მომსახურების ექსპორტი, კერძოდ, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რომელმაც ქვეყნის მთლიანი გამოშვების 7

პროცენტი შეადგინა. 2008-2012 წლებში იგი დაახლოებით სამჯერ გაიზარდა. 2008-2012 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის სუსტი მდგომარეობა კვლავ გაგრძელდა და ბიზნესგარემო კონკურენციის განვითარებისათვის არასახარბიელო დარჩა. 2008-2012 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული იყო ბიზნესსექტორში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 17.9 პროცენტი და დასაქმებული იყო სულ დასაქმებულთა მხოლოდ 43 პროცენტი. მათი წილი წარმოებულ დამატებით ღირებულებაში 21,8 პროცენტია. შედარებისათვის, ევროკავშირის (27) ქვეყნებში მისი წილი ერთობლივ დამატებით ღირებულებაში შეადგენს საშუალოდ 57.6 პროცენტს და დასაქმებულია დასაქმებულთა 67,1 პროცენტი.⁸

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ფორმირებაში, სოციალური უთანაბრობის შერბილებაში და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს ასრულებენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზარზე. ეკონომიკის ამ სექტორის რეცესიული მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებდა არა მარტო სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე, არამედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესგარემოს სრულყოფაზე, რის შედეგადაც უმუშევრობა და სიღარიბე კვლავინდებურად ქვეყნის ძირითად პრობლემად რჩებოდა.

დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ეფექტიანობა დაბალია. ისინი სუსტადაა განვითარებული და ვერ ასრულებენ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ძალის როლს.

არსებული მდგომარეობა აისახება დასაქმებასა და უმუშევრობაზე. უმუშევრობა ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა, რომელიც განპირობებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობით და დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილით დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი მცირედით კლებულობდა. ოფიციალურად უმუშევრობის დონე 2008 წელს 16.5 პროცენტს შეადგენდა. 2013 წელს მან 15 პროცენტი შეადგინა.

აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო წლებში ინვესტიციების დიდი ნაწილი კვავინდებურად დაბანდებული იყო ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, მოპოვებითსა და გადაამამუშავებელ მრეწველობაში. მან, მართალია, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, მაგრამ, რადგანაც ამ დარგებს შეზღუდული აქვთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის

8. Eurostat. Statistics in Focus. 2008. http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-SF-08-031/EN/KS-SF-08-031-EN.PDF

შესაძლებლობები, ისინი ვერ უზრუნველყოფენ სოციალური ფონის გაუმჯობესებას და დასაქმების ზრდას.

მიკრომენარმეობის განვითარებას აქვს მთელი რიგი საგადასახადო ბარიერები. 2010 წლის 29 დეკემბრის საგადასახადო ცვლილებებს დაბალი ბრუნვის სანარმოთათვის შეღავათიანი პირობების შექმნის დანიშნულება ჰქონდა. ცვლილებები შეღავათებს ითვალისწინებდა, თუმცა წარმოიქმნა გარკვეული შეზღუდვებიც. ამგვარი მაგალითებია:

1. მენარმე ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 100,000 ლარს და რომლებიც ეწევიან საქართველოს მთავრობის 419 დადგენილებით⁹ განსაზღვრულ საქმიანობას, გათავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადისაგან.¹⁰ თუმცა, საქმიანობის ეს სახეები 2011 წლამდეც გათავისუფლებული იყო საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო 2011 წლის შემდეგ საქმიანობათა ჩამონათვალი შემცირდა. კერძოდ, ავტომობილების ტექნიკური მომსახურება, სამდივნო და მთარგმნელობითი მომსახურების განევა, საცხოვრებელი ადგილების მოკლე ვადით გადაცემა, საპარიკმახერო მომსახურება დღეს ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის ობიექტად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწილში მიკრობიზნესში დასაქმებულ პირთა მდგომარეობა გაუარესებულია.

2. მენარმე ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავალიც არ აღემატება 30,000 ლარს. აღნიშნულ ჯგუფში შემავალი მენარმეები გათავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადისაგან. ეს სიახლეს წარმოადგენს 2011 წლამდე მოქმედ საგადასახადო კოდექსთან შედარებით. თუმცა, შეღავათი არ ვრცელდება რიგ საქმიანობებზე (საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას, სავალუტო ოპერაციები; სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო საქმიანობა, სათამაშო ბიზნესი, ვაჭრობა, ქონების იჯარით გაცემა, და სხვა).¹¹

3. ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ბრუნვაც არ აღემატება 100,000 ლარს, შეუძლიათ გადაიხადონ ფიქსირებული გადასახადი. გამარტივებული აღრიცხვა და საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენებისგან გათავისუფლება მნიშვნელოვანია მიკრობიზნესისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2011 წლამდე საქმიანობათა დიდი ნაწილი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა, საერთოდ გათავისუფლებული იყო საშემოსავლო გადასახადისაგან. ასევე, მენარმე გათავისუფლებული იყო სალარო აპარატის გამოყენებისგანაც.¹²

9. საქართველოს მთავრობის 419 დადგენილება, დანართი 1, 29/12/2010

10. 2011 წლამდე მოქმედი სსკ, 168-ე მუხლის პირველი ნაწილი, „ლ“ ქვეპუნქტი

11. საქართველოს მთავრობის 419 დადგენილება, დანართი 2, 29/12/2010

12. 2011 წლამდე მოქმედი სსკ, 104-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, 97-ე მუხლის მეოთხე ნაწილის, „გ“ ქვეპუნქტი

4. მიკრობიზნესში დასაქმებული პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მენარმეთა უმეტესობა ამჯობინებს ბიზნესის რეგისტრაციას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. ეს შესაძლებლობას მისცემდა შპს-ს, სანცის ეტაპზე მიეღო მიკრობიზნესის სტატუსი, შემდეგ მცირე ბიზნესის სტატუსი და შემდეგ გაეგრძელებინა საქმიანობა ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმში. ამავდროულად, დაქირავებული პირის გამოყენების შეზღუდვა ხელს უშლის რაიმე ქმედითი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობას.

5. ამ საკანონმდებლო ნორმით სანარმოებს არა აქვთ უფლება, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირებისგან და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელებისგან შექმნილი საქონელი ან მომსახურება გამოიქვითოს ხარჯებში. მსგავსი შეზღუდვა ხელს უშლის მიკრობიზნესში დასაქმებულ პირებს, საქმიანი კავშირები დაამყარონ სხვა სანარმოებთან და განავითარონ საკუთარი საქმიანობა.¹³

6. თუ საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 45,000 ლარს, მიკრობიზნესის სტატუსი მიმდინარე საგადასახადო წელს უქმდება. მაგრამ მიკრომენარმეობის სტატუსი განისაზღვრება ბრუნვის და არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მიხედვით.¹⁴ შესაბამისად, სსკ-ა გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს.

7. თუ მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ეწევა მიკრობიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობას ან 3-ჯერ არ გამოყენებს სალარო აპარატს და მას დაეკისრება სანქცია კალენდარული წლის განმავლობაში, საგადასახადო ორგანო უუქმებს მას მიკრობიზნესის სტატუსსა და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმს და აჯარიმებს 500 ლარით. ამავ ბრძანებით, იგივე ვრცელდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირზე¹⁵. ვინაიდან მიკრობიზნესის საქმიანობის სფერო შეზღუდულია, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი განისაზღვრება 30,000 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილი იქნებოდა, საჯარიმო სანქცია დიფერენცირებული ყოფილიყო მიკრო და მცირე ბიზნესისთვის.

4. მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პროგრამები საქართველოში

არასამთავრობო სექტორის მხრიდან მიკრომენარმეობის მხარდაჭერის პირველი ტალღა საქართველოში დაიწყო 90-იანი წლებიდან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჰუმანიტარული დახმარების მისიების მუშაო-

13. სსკ, 106-ე მუხლი, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები

14. სსკ, 85 -ე მუხლი, „ბ“ ქვეპუნქტი და 84-ე მუხლი

15. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 999 ბრძანება, მუხლი 8 და მუხლი 18, 31/12/2010

ბის გააქტიურებასთან ერთად.

საწყის ეტაპზე ამ ორგანიზაციების ინტერვენციებს ჰქონდა პირდაპირი ჰუმანიტარული დახმარების სახე, რაც თანდათანობით განვითარების პროგრამებმა ჩაანაცვლა. განვითარების პროგრამების ფარგლებში მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ხშირად ორგანიზაციების სხვა პრიორიტეტების (თემის განვითარება, კონფლიქტების მოგვარება, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბება, სიღარიბის აღმოფხვრა) თანამდევ მიმართულებას წარმოადგენდა - ფერმერების ან ფერმერული ჯგუფების დახმარება უმეტეს შემთხვევებში სათემო კავშირების, ასოციაციების ან მომსახურების მომწოდებლების მეშვეობით ხდებოდა და გულისხმობდა სხვადასხვა ტიპის (მათ შორის საგანმანათლებლო) სერვისისა და საწარმოო საშუალებების მიწოდებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და პროდუქციის გასაღებაში დახმარებას. ორგანიზაციების პრიორიტეტების ნუსხაში მცირე მენარმეობის განვითარების საკითხის ამგვარი გააზრება დღესაც ფართოდ არის გავრცელებული.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მეორე მიმართულებაა უშუალოდ მცირე ბიზნესის ხელშეწყობი საგრანტო პროგრამები, რომელთა ფარგლებში მნიშვნელოვან და მზარდ მიმართულებას ე.წ. სტარტაპ (საწყისი) გრანტები წარმოადგენს. განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციების სტრატეგიებში სტარტაპები და მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერი სხვა საგრანტო პროგრამები 2000 წლის შემდეგ სხვადასხვა ეტაპზე სესხების პროგრამების პარალელურ ან ჩამნაცვლებელ ინტერვენციად გვევლინება.

ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტექსტის შეცვლასთან ერთად განვითარებისა და პირდაპირი დახმარების პროგრამების, ისევე როგორც სესხებისა და სტარტაპ გრანტების კომპონენტების, ხვედრითი წილების ურთიერთმიმართება დახმარების პროგრამებში იცვლებოდა (ერთ-ერთი ამგვარი რყევა დონორი ორგანიზაციების გრძელვადიან სტრატეგიებში, მაგალითად, 2008 წლის მოვლენებმა გამოიწვია - განვითარების პროგრამები ცალკეულ რეგიონებში კვლავ პირდაპირი დახმარების პროგრამებმა შეცვალა, ხოლო ქვეყანაში შემქნილი ეკონომიკური კრიზისისა და საპროცენტო განაკვეთის ზრდის ფონზე საკრედიტო პროგრამები არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიებში თითქმის ყველა შემთხვევაში მიკროგრანტების კომპონენტმა ჩაანაცვლა). დღეისათვის მცირე ბიზნესის ხელშეწყობი სტარტაპ გრანტები, ძირითადად, მონყვლადი ჯგუფებისკენაა მიმართული და ქვეყანაში მიკროსაფინანსო პროგრამების პარალელურ ინსტრუმენტად მოიაზრება.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს დღეისათვის მიკრო და მცირე მენარმეობის პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მდიდარი გამოცდილება დაუგროვდათ. საქართველოში ამ მიმართულებით მილიონობით დოლარი დაიხარჯა, თუმცა დღეისათვის ეს გა-

მოცდილება ნაკლებად არის შეფერებული და განზოგადებული.

მიკრობიზნესის ხელშეწყობის არასამთავრობო ინიციატივების ფარგლებში ცალკეული ორგანიზაციებისა და პროგრამების დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი და გამთლიანება დღეისათვის ორი მიზეზით არის მნიშვნელოვანი:

სოციალური მხარდაჭერის, რეგიონული განვითარებისა და მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ამოქმედების ფონზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ნიშა, სადაც არასამთავრობო სექტორი შეძლებს ახალ კონტექსტში ეფექტიანად ფუნქციონირებას და სახელმწიფო პროგრამებთან სინერგიული ეფექტის მიღწევას;

არასამთავრობო სექტორში მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით დაგროვებული გამოცდილების სტრუქტურირება - ინტერვენციების სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა და ამ გამოცდილების ინტეგრირება სახელმწიფო პროგრამების სტრატეგიებში ხელს შეუწყობდა ამ მიმართულებით სახელმწიფო ინტერვენციების ეფექტიანობის გაზრდას.

4.1. სტარტაპ ბრანტების სპეციფიკა

მიკრობიზნესის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების მიზნობრივ ჯგუფს, ძირითადად, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ინდივიდები წარმოადგენენ, რომლებსაც სურთ, საკუთარი ბიზნესის წამოწყება.

დახმარების პაკეტი თითოეული ინდივიდისათვის საშუალოდ 1000-დან 3000-მდე ლარის ოდენობის გრანტის მიცემას გულისხმობს. გრანტის კომპონენტს, ჩვეულებრივ, წინ უძღვის და თან ახლავს ტექნიკური მხარდაჭერა - ტრენინგები ბიზნესის წამოწყებისათვის მნიშვნელოვან ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებში და აგრეთვე კონსულტაციები ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე.

თითოეული პროექტის საშუალო ხანგრძლივობა 2 წელია, საიდანაც პირველი რამდენიმე თვე მოსამზადებელ (სასწავლო/საორგანიზაციო) კომპონენტს ეთმობა. პროექტის მსვლელობისას, ჩვეულებრივ, დონორი ორგანიზაცია ახორციელებს მონიტორინგს ბიზნესგეგმაში ჩამოყალიბებული ინდიკატორების შესრულების კონტროლისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, ბენეფიციარებს სპეციფიკურ საკითხებზე მიზნობრივი კონსულტაციებით უზრუნველყოფს. საქართველოში ასევე ხორციელდება უფრო ხანმოკლე (ექვსთვიანი) ან ხანგრძლივი - 6 წლამდე ხანგრძლივობის სტარტაპ პროექტებიც.

კვლევაში ჩართული ორგანიზაციებისა და ბენეფიციარების ინფორმაციით, გრანტების ნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გაიცემა (ძირითადად, მეცხოველეობაში). თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, გრანტები ასევე გაიცემა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვისაც, რაც ძირითადად გულისხმობს სოფლის მოსახლეობისათვის ისეთი სერვისების შექმნას,

როგორებიცაა მაღაზია, ვეტერინარული კლინიკა, ინტერნეტ-კაფე, საპარიკ-მახერო და ა.შ.

სტარტაპ პროექტები, ჩვეულებრივ, გულისხმობს ბენეფიციარის თანამონაწილეობას სტარტაპ ინიციატივაში ფულადი ან სხვა სახის კონტრიბუციის სახით.

4.2. სტარტაპ გრანტების დისტრიბუციის გამოხატვა და პანეფიციარების შერჩევის სტრატეგია

დღეისათვის განვითარების ორგანიზაციების მიერ სტარტაპ პროექტებში ძირითადად სოფლად ხორციელდება და საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ეთნიკური უმცირესობებით ან იძულებით გადაადგილებული პირებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებზე.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, გრანტების განაწილება ეფუძნება პოტენციური ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულ სურვილს, მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში¹⁶. შესაბამისად, პროგრამას წინ უძღვის საინფორმაციო კამპანია სამიზნე ადგილებზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით და თემის კრებების ორგანიზებას.

ხშირად სტარტაპ პროექტების ბენეფიციარების შერჩევისას მოქმედებს დამატებითი კრიტერიუმები (მაგალითად, მიკუთვნებულობა კონკრეტული მონყვლადი ჯგუფისადმი). ასეთებია: ქალები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

პროგრამისათვის ბენეფიციარების შერჩევა, ჩვეულებრივ, ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე გადაარჩევენ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველების მიერ შემუშავებულ საწყის ბიზნესიდეებს და ამონებენ ბენეფიციარის შესაბამისობას შერჩევის საბაზო კრიტერიუმებთან (მაგალითად, მიკუთვნებულობას მონყვლადი ჯგუფის ან კონკრეტული გეოგრაფიული ადგილისადმი), შერჩევის მეორე ეტაპზე კი გადაარჩევენ შესაბამისი ტრენინგის გავლის შემდეგ შემუშავებულ დეტალურ ბიზნესგეგმებს.

4.3. თანმდევნი სასწავლო კომპონენტი

სასწავლო კომპონენტი სტარტაპ გრანტების პროგრამების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საგანმანათლებლო კომპონენტს, ძირითადად, მოდუ-

16. Macours, K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training . The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit

ლარული სტრუქტურა აქვს და, პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

პირველი კომპონენტი ბიზნესგეგმების შემუშავებასა და მცირე ბიზნესის წარმოების საბაზო უნარებში წვრთნას გულისხმობს. მეორე ეტაპზე უკვე გადარჩეული ბიზნესგეგმების ავტორები და გრანტის მფლობელები გადიან წვრთნას დარგობრივ კომპეტენციებში (პროექტის სპეციფიკის მიხედვით), ხოლო გრანტის ადმინისტრირების ეტაპზე ბენეფიციარები იღებენ კონსულტაციებს მუშაობის პროცესში წარმოქმნილი საჭიროებების მიხედვით.

მიკრობიზნესის ხელშეწყობის პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები საგანმანათლებლო კომპონენტში ეყრდნობიან, როგორც შიდა, ისე გარე რესურსებს. ბიზნესის წარმოების საბაზო უნარების ტრენინგის პროვაიდერები არიან ბაზარზე არსებული ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციები, ხოლო დარგობრივი კომპეტენციების განმავითარებელი პროგრამების უზრუნველყოფას საგრანტო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები ძირითადად ინდივიდთა (დარგის ექსპერტთა) რესურსებზე დაყრდნობით ახერხებენ. გრანტების მონიტორინგი, ისევე როგორც თანმხლები კონსულტაციები, უმეტეს შემთხვევაში გრანტის გამცემი ორგანიზაციების შიდა რესურსების (მობილიზატორების) ფუნქციას წარმოადგენს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ისინი იყენებენ გარე რესურსებსაც.

საგანმანათლებლო კომპონენტის პირველი ორი ეტაპის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ 2-3 კვირაა, ხოლო მონიტორინგის თანმხლები კონსულტაციების ხანგრძლივობა და ინტენსივობა ცალკეული პროექტების სპეციფიკასა და ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. საშუალოდ მონიტორინგისა და კონსულტაციების ეტაპი ერთ წელიწადს ან წელიწად-ნახევარს გრძელდება.

5. მიკრომენარეობის მხარდამჭერი ინიციატივების მიზნები და შედეგები საქართველოში

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, მიკრომენარეობის მხარდამჭერი პროგრამების და, კონკრეტულად, სტარტაპ საგრანტო ინიციატივების ძირითად მიზანს მიზნობრივი ფგუფების დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლების ზრდა წარმოადგენს. ვინაიდან უნარ-ჩვევებისა და კაპიტალის დეფიციტი ზღუდავს პროდუქტიულ არჩევანს¹⁷, განვითარების პროგრამები პირველ რიგში ამ შეზღუდვების აღმოფხვრისკენ არის მიმართული. შესაბამისად, დაქირავებული შრომიდან და თვითდასაქმებიდან შემოსავლების ოდენობის ზრდის ხელშეწყობის მთავარ ინსტრუმენტებად ამ ტიპის

17. Lucas, R. E., Jr. (1978). "On the Size Distribution of Business Firms." *The Bell Journal of Economics* 9(2): 508-523.

Banerjee, A. V. and A. F. Newman (1993). "Occupational Choice and the Process of Development." *Journal of Political Economy* 101(2): 274-298.

პროგრამებში ლიკვიდობის შემაფერხებელი ბარიერების შემცირება და მიზნობრივ ჯგუფებში ბიზნესის წამოწყებისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს¹⁸. ასევე მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის ხელშეწყობი საგრანტო პროგრამების თანამდევნი სოციალური ეფექტი: მიზნობრივი ჯგუფების სოციალური სტატუსის ამაღლება და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, თემში სხვადასხვა სერვისებისა და პროდუქციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანამშრომლობითი კულტურისა და ღირებულებითი ჯაჭვების ფორმირება.

5.1. სტარტაპ გრანტი, როგორც საწყისი კაპიტალის ხელშეწყობის გაზრდის დამოუკიდებელი ინსტრუმენტი

დონორებიცა და ბენეფიციარებიც იზიარებენ მოსაზრებას, რომ მცირე ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამები, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, როგორც ბიზნესის საწყისი დაფინანსების წყარო. მიუხედავად თანხის სიმცირისა (2,000-დან 3,000 ლარამდე), ამ ოდენობის კაპიტალიც კი ძნელად მისაწვდომია სოფელში (დანაზოგი, სხვა საქმიანობით მოპოვებული ფული).

„გრანტის სიდიდე საშუალოდ 2,000 ლარს შეადგენდა. შეიძლება ეს არ არის დიდი თანხა, მაგრამ ამ ფულის მოპოვება სოფლად ძნელი, თითქმის შეუძლებელია“ - აღნიშნავს სტარტაპ გრანტის ერთ-ერთი ბენეფიციარი და ხაზს უსვამს ამ მცირე ინვესტიციის მნიშვნელობას თავისი ბიზნესის წამოწყებისათვის.

პროგრამაში ჩართული ადამიანების უკუკავშირი აჩვენებს, რომ მიკროსაფინანსო სფეროში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობისათვის:

„მქონდა დიდი ოთახი, სადაც მინდოდა გამეკეთებინა რიტუალური მომსახურების დარბაზი (სუფრა ქორწილის, დასაფლავების, დაბადების დღის თუ სხვა მსგავსი ღონისძიების დროს), მაგრამ არ მქონდა თანხა მისი შეკეთებისა და აღჭურვისათვის. გრანტი შეკეთებისა და აღჭურვისათვის გამოვიყენე და, შესაბამისად, გრანტის გარეშე ბიზნესს ვერ დავიწყებდი;“

პროგრამის ბენეფიციარი

არსებული ბიზნესის ზრდისათვის კაპიტალის სხვა წყაროს ბიზნესსესხიც წარმოადგენს, თუმცა სესხი ბევრი ბენეფიციარის მიერ ბიზნესის წამოწყების

18. Macours, K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training . The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit

საწყის ეტაპზე არ განიხილება როგორც მიკროგრანტის ალტერნატივა. ამის მიზეზად რესპონდენტები რამდენიმე ფაქტორს ასახელებენ:

პირველ მიზეზს მაღალი საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს (36%). იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, კაპიტალის წყაროდ დამატებით გამოყენებულ იქნეს საყოფაცხოვრებო სესხი, გრანტი ამცირებს სესხის მომსახურების ტვირთს კლიენტებისათვის:

„ისედაც დაწყებული მქონდა მაღაზიის მშენებლობა, და ვაპირებდი კრედიტის აღებას. ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ არ ვიხდი პროცენტს. ვფიქრობ ახლა კიდევ გამოვიტანო კრედიტი, სასაქონლო მარაგებისათვის;“

პროგრამის ბენეფიციარი

5.2. მცირე გრანტი, როგორც საწყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობის გაზრდის თანამდავი ინსტრუმენტი

დღეისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ მცირე გრანტი სტრატეგიულად განიხილება, როგორც არა მხოლოდ სესხების ალტერნატივა, არამედ სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდის წინაპირობაც, რადგან მიკროსაფინანსო პროგრამების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ბენეფიციარების წინა გამოცდილება და კომპეტენციები, საწყისი ეკონომიკური და სოციალური კაპიტალი¹⁹.

პროგრამის მონაწილეთა და განმახორციელებლთა აზრით, ამ თვალსაზრისით გრანტი ბენეფიციარების მომზადების ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

„2003 წლიდან პირდაპირი კომპონენტი იყო ბიზნესსტარტაპების მხარდაჭერა, იმ დროს ბანკები არ იძლეოდნენ სტარტაპ სესხს, იმიტომ რომ (პოტენციურ ბენეფიციარებს) გამოცდილება არ ჰქონდათ. ჩვენ შევთავაზეთ სქემა - დავინყებთ იდეების შეგროვებას, გავფილტრავთ, მოვამზადებთ კლიენტებს, ისტორიაც რომ ჰქონდეთ, ბიზნესგეგმის წერაც იცოდნენ და გამოცდილებაც შეიძინონ.“

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

გამოცდილების არქონას, როგორც ბიზნესსესხების ხელმისაწვდომობის შემზღუდავ ფაქტორს, პროგრამების ბენეფიციარებიც ასახელებენ - ბიზნესის წარმოების გამოცდილება სესხების გაცემისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად განიხილება და ხშირად დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას

19. Nenova, T. 2009. Bringing finance to Pakistan's poor : access to finance for small Enterprises and the underserved. The World Bank.

შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

„ფული, რაიმე დანაზოგი, არ მქონდა, ბანკი ბიზნესსესს არ მომცემდა, რადგან ბიზნესი არ არსებობდა. სწორედ ამ გაგებით ვამბობ, რომ პროგრამა სტიმული იყო. იმის შემდეგ, რაც გრანტით დავინყე ბიზნესი (შევაკეთე მარანი, მოვანესრიგე ეზო), ბანკმა მომცა სესხი (4,000 ლარი, 48% წლიური განაკვეთით და კერძო პირის თავდებობით);“

პროგრამის ბენეფიციარი

რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ გამოცდილების არქონა მოქმედებს, აგრეთვე, როგორც სუბიექტური შემაფერხებელი ფაქტორი სესხის აღებისას - გამოცდილების არქონას თან ახლავს შიში, საკუთარ ძალებში დაუნრმუნებლობა, რაც დამატებით ფსიქოლოგიურ ბარიერებს წარმოქმნის:

„საბანკო სესხის აღებისა მეშინია, არა ვარ დარწმუნებული სანარმოს სტაბილურობასა და ჩემი საქმის წარმატებაში“.

პროგრამის ბენეფიციარი

დონორები და პროგრამის ბენეფიციარები თანხმდებიან იმაში, რომ სტარტაპ გრანტები ხელს უწყობს საწყისი გამოცდილების შექმნას, ბიზნესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების განვითარებას და საწყისი კაპიტალის ფორმირებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მიკროსაფინანსო პროგრამებში მონაწილეობისათვის მზაობასა და წარმატების შანსებს.

5.3. სტარტაპ გრანტი, როგორც ზრდასრულთა განათლების ინსტრუმენტი

მენარმეობისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ევროპის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში. საქართველოში ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას, რადგან, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საქართველოშიც მენარმეობისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებას წარსულში საერთოდ არ ეთმობოდა ყურადღება სასწავლო გეგმებში. დღეს ეროვნული სასწავლო გეგმა მენარმეობის კომპეტენციების განვითარებას ითვალისწინებს. თუმცა ამ პრიორიტეტის რეალიზაციის მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება.

სტარტაპ გრანტები და მათი თანმდევი საგანმანათლებლო კომპონენტი ამ თვალსაზრისით, როგორც თეორიული ცოდნის შეძენის, ისე ამ ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, სტარტაპ გრანტები, ზოგადად, ხელს უწყობს მენარმეობისათვის მნიშვნელოვანი საბაზო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებას მოსახლეობაში.

„ძირითადად ფული უნდა ყველას, ტრენინგი კი არ უნდათ. ძალიან დიდი დრო მიაქვს იმის ჩვენებას, რომ მან არ იცის, ფული როგორ გამოიყენოს. ამიტომ მერე გინევს მობილიზება, ტრენინგის ჩატარება, რომ იმან დაინახოს, თუ რა არის ბიზნესი - როგორ უნდა დახარჯოს უფრო ეფექტურად ფული, რატომ არის აუცილებელი რეინვესტირება.“

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

„ბევრი პროგრამა შეცდომით ეძახის სტარტაპს ისეთ პროექტებს, სადაც გრანტს ვასცემს ძროხის შესაძენად. ძალიან ბევრი ფულია დახარჯული ამგვარად - კრედიტების 70% ვაცემულია მეცხოველეობაში, აქედან 80% გულისხმობს, მაგალითად, ძროხის ყიდვას, და იმის გამო, რომ არასწორად არის კომპონენტი დაგეგმილი - ძროხა არ არის ბიზნესი, ბიზნესად ძროხა იმ შემთხვევაში გადაიქცევა, თუ ბენეფიციარი გეგმავს რეინვესტირებას.“

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

კვლევაში ჩართული სტარტაპ პროგრამების ბენეფიციარები ლაპარაკობენ აგრეთვე პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების მნიშვნელობაზეც.

„საქმის კეთების დროს ბევრი რამ ვისწავლე. ვინ იფიქრებდა, რომ შევძლებდი ჩურჩხელების არა მხოლოდ საოჯახო მოხმარებისათვის გაკეთებას, არამედ მათ რეალიზაციას? ვფიქრობ, ეს უნარი საქმიანობის დროს შევიძინე და ჩემი თავის იმედიც გამიჩნდა.“

პროგრამის ბენეფიციარი

სტარტაპ გრანტების ბენეფიციარები იმასაც აღნიშნავენ, რომ პროექტების განხორციელების პროცესში მათ მხოლოდ ახალი ცოდნა და გამოცდილება კი არ შეიძინეს, არამედ ამ ცოდნის გაღრმავების სურვილი და სწავლის გაგრძელების მოტივაციაც გაუჩნდათ:

„რადგან ჩემ საქმეში, სიღნაღში ჩამოსული სტუმრების მომსახურების დროს უნდა ვიცოდე უცხო ენა, ინგლისურის სწავლა დავიწყე. ასევე მეტი უნდა ვიცოდე სასტუმროს მომსახურების

შესახებ და ვეძებ, სად შეიძლება გავიარო შესაბამისი ტრენინგი“.

პროგრამის ბენეფიციარი

5.4. სტარტაპ ბრანტი და თემის განვითარება

დონორებისა და ბენეფიციარების უკუკავშირის თანახმად, სტარტაპ გრანტები, ასევე, ხელს უწყობს თემში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ღირებულებათა ჯაჭვების ფორმირებას, სერვისისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

„პროექტი მნიშვნელოვანია სოფლებისთვისაც, რადგან ისინი ამარაგებენ რძის პროდუქტებით ჩემს საწარმოს“ - აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი და მსჯელობს პროექტის ეფექტზე მთლიანად სოფლის ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ზოგიერთმა რესპონდენტმა, აგრეთვე, აღნიშნა სტარტაპ პროექტების მნიშვნელობა სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებისათვის.

„ვაჭი უნდა დაბრუნდეს თბილისიდან და ჩაებას ამ საქმეში. ყოველთვის განვიცდიდი, რას შვებოდა თბილისში, სადაც კარგად ვერ მოენყო და უჭირდა, დაბრუნებით კი ვერ ბრუნდებოდა, რადგან აქ საქმე არაფერი ჰქონდა. ყველასთვის კარგია, სოფელში როცა იქნება თავის ოჯახთან ერთად;“

ამასთანავე, სტარტაპ გრანტები ხელს უწყობს თემში ცოდნის გავრცელებას და მოტივაციის გაზრდას მცირე მენარმეობის წარმონწყობისათვის:

ახლობლებს ძალიან მოსწონთ, სურთ, ამგვარ საქმეში მიიღონ მონაწილეობა, სიამოვნებით გააკეთებდნენ ამისთანა პროექტს;“

პროგრამის ბენეფიციარი

5.5. სტარტაპ ბრანტების სოციალური ფუნქცია

სტარტაპ გრანტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია თანმდევი სოციალური ეფექტი.

ერთ-ერთი რესპონდენტი საკუთარ გამოცდილებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, თუ როგორ იმოქმედა სტარტაპმა მის თვითშეფასებაზე:

„...უფრო მეტსაც გეტყვით, ეხლა რომ ვინცებდე, თავიდან უკვე მეტ პირუტყვს შევიძენდი, იმიტომ რომ შიში, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა გადავლახე.“

პროექტის ბენეფიციარი

ამასთანავე, ბენეფიციართა აზრით, სტარტაპ გრანტები ინიციატივის და მოტივაციის გაზრდის ეფექტური საშუალებაა:

„დიდი ხანია, ვფიქრობდი ეთნოგრაფიული ეზოს მონყოლაზე, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩამოსულ ტურისტებს მოემსახურებოდა. მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო ვერ ვინწყობდი: ერთი, რომ ვერ ვბედავდი, ვფიქრობდი, ვერ შევძლებ, თავს ვერ გავართმევ-მეთქი; მეორე, რომ უსასრულოდ გადავდებდი ხოლმე ამ იდეის განხორციელებას, რადგან არავის წინაშე არ მქონდა პასუხისმგებლობა;

მუშაობის სურვილი გამიჩნდა. როდესაც არაფერს აკეთებ, მუშაობის სურვილიც სულ უფრო კნინდება. ეხლა კი, რაც მეტს ვაკეთებ, მით მეტი მინდა ვაკეთო. დავინახეთ, რომ რალაც გამოდის. მე პურის გამოცხობა ჩემთვის მეზარებოდა, ეხლა კი თონეს ვამუშავებ;“

პროექტის ბენეფიციარი

რესპონდენტებს, ზოგჯერ თემში და მიკროსოციალურ ჯგუფებში სოციალური როლების სტრუქტურის ცვლილების თვალნათელი მაგალითებიც მოჰყავთ:

„ქმარი მეხმარება თონეში მუშაობაში, ხანდახან უმცროსი ქალიშვილიც. ქმარს თავიდან რცხვენოდა - პურის ცხობა რა კაცის საქმეაო, - თავს უხერხულად გრძნობდა, როცა მეზობლები ხელში ცომით ხედავდნენ, ეხლა კი ჩემთან ერთად მუშაობს“;

სტარტაპ პროგრამების ბენეფიციარი ქალები სიამაყით აღნიშნავენ, თუ როგორ გაფართოვდა მათი სოციალური კავშირები და სტატუსი, როგორც თემში, ისე ოჯახში.

„ყველა მოლაპარაკებას თავად ვანარმოებ. მაგალითად, სიღნაღის სასტუმროებთან, რომლებიც ეძებდნენ ადგილს თავისი სტუმრების საზეიმო სადილისათვის. სოფელში უფრო დიდი პატივისცემითა და რიდით მეპყრობიან“.

6. ჩართულობა, მდგრადობა და სტარტაპ ბრანტების განხორციელების თანამდევნი რისკები

მსოფლიო ბანკის მიერ ბოლო წლებში გამოცემული ანგარიშები ცხადყოფს, რომ მიკრომენარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებები და, კერძოდ, სტარტაპ ბრანტები ხელს უწყობენ შემოსავლების ზრდას და დასაქმებისა და თვით-დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებას მონყვლად ჯგუფებში²⁰.

ცალკეულ ქვეყნებში განხორციელებული ექსპერიმენტული კვლევების თანახმად, მიკრო-გრანტების ბენეფიციარ ქალთა შემოსავლები საკონტროლო ჯგუფთან შედარებით 80%-ით მაღალია, ხოლო მამაკაც ბენეფიციართა - 30%-ით მაღალი. გრანტის მიღებიდან 2 წლის შემდეგ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით პროგრამის ბენეფიციართა აქტივების შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება²¹.

სტარტაპ ბრანტების პროგრამების მონაწილე მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებში მნიშვნელოვნად იზრდება თვითშეფასების, ცხოვრებით კმაყოფილების, მოტივაციის მაჩვენებლები²².

ანალოგიური სურათი იკვეთება საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამ თვალსაზრისით სანდო სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად მოიპოვება, დონორებისა და ბენეფიციარების შეფასებით, ამ ტიპის ინიციატივებს დადებითი ეფექტი აქვს, როგორც შემოსავლების, ისე დასაქმების მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით.

ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის მიერ განხორციელებული მიკრომენარმეობის ხელშემწყობი პროგრამის ანაგარიშის მიხედვით იძულებით გადაადგილებული პირების შინამეურნეობის შემოსავლები 2010-2012 წლების განმავლობაში საშუალოდ 37%-ით გაიზარდა.

ქალთა ფონდი საქართველოში პროგრამის ანგარიშში ამავე პერიოდის (2010-2012) განმავლობაში ბენეფიციარ ქალთა შემოსავლების 77%-იან ზრდაზე მიუთითებს.

20. Macours, K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training . The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit

Fiszbein, A.m Kanbur, R., Yemtsov, R. 2013. Social Protection, Poverty and the Post-2015 Agenda. The World Bank Human Development Network Social Protection and Labor Department. Policy Research Working Paper

Nenova, T. 2009. Bringing finance to Pakistan's poor : access to finance for small Enterprises and the under-served. The World Bank.

21. The World Bank. Human Development Network. 2013. From Evidence to Policy. Policy Brief.

22. Macours, K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training . The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit

ცალკეული დონორი ორგანიზაციების მონაცემებით, ზოგადად მიკრომენარეობის მხარდამჭერი პროგრამების საწყის ეტაპზე მონაცვლადი ჯგუფების პროგრამაში ჩართვის მოტივაცია და, შედეგად, მონაწილეობის მაჩვენებლები შედარებით დაბალია იმავე გეორგაფიულ ადგილას სხვა ჯგუფების ჩართულობის მაჩვენებლებთან შედარებით. თუმცა თემში ამ კუთხით წარმატებული მაგალითების დაფიქსირების შემდეგ მონაწილეობის მსურველთა რიცხვი იზრდება²³.

დონორი ორგანიზაციების მონაცემებით, ბენეფიციართა 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ სტარტაპ გრანტების პროგრამაში მონაწილეობა სწორი გადაწყვეტილება იყო და კმაყოფილია შედეგებით²⁴.

მიუხედავად ამისა, დონორები ამ ტიპის ინიციატივების შედეგების გააანალიზების დროს გარკვეულ შეზღუდვებსაც აღნიშნავენ. კერძოდ:

ა) დაფინანსებული ბიზნესპროექტების საშუალოდ ნახევარზე მეტს გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემები ექმნება მდგრადობის თვალსაზრისით;

ბ) ხშირ შემთხვევაში დაფინანსებული ბიზნესპროექტები წლების შემდეგ იმავე სახისაა და ნაკლებად ვითარდება;

გ) მიკრო ბიზნესპროექტების განვითარების პერსპექტივები დიდად არის დამოკიდებული ცალკეულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კოოპერაციაზე, მაგრამ ცალკეულ პროექტებს შორის თანამშრომლობის მაგალითები ცოტაა ან საერთოდ არ არის:

„ერთად ნაკლებად აკეთებენ რამეს, არ თანამშრომლობენ, დონორისგან თუ არ მოდის ინიციატივა და თავიდანვე არ არის ჯგუფური პროექტი. თუ სხვადასხვა რეგიონია და სხვადასხვა პროექტი - თანამშრომლობა საერთოდ არ არის“ - აღნიშნავს ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

შექმნილი სიტუაციის მთავარ მიზეზებად დონორები რამდენიმე ფაქტორს მიიჩნევენ. ეს ფაქტორებია:

დაბალი პასუხისმგებლობა - ბენეფიციარები გრანტის თანხების ხარჯვას ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ვიდრე სესხის შემთხვევაში.

„როგორც კი ორგანიზაცია კონკურსს გამოაცხადებს, მოდის უამრავი ხალხი, რომელსაც უბრალოდ ფული სჭირდება. მუქთა ფული ცუდია. რისკზე უფრო მიდის. იმიტომ რომ ამ მუქთა ფულს დებს ძალიან უხარისხო რაღაცაში. როდესაც მოდის მუქთა ფული, რომელზეც პასუხისმგებლობა არ გაქვს, დიდ რისკზეც მიდიხარ“.

მანიპულირების შესაძლებლობა - ცალკეულ შემთხვევებში გრანტით გამო-

23. Women's Fund in Georgia. 2013. Women's Economic Independence in the Post-conflict Zone and Remote Regions of Georgia. Final Report.

24. Center for Training and Consultancy (CTC). 2012. Sustainable integration of IDPs into value creation chains in new settlement areas. Final Report

ყოფილი თანხები არამიზნობრივად იხარჯება. აპლიკანტები კონკურსში სხვე-
ბის შედგენილ ბიზნესგეგმებს წარადგენენ.

ხშირად ყოფილა, მოსულან ქალბატონები და საერთოდ არ იცოდნენ, რა ეწერ-
ათ (ბიზნესგეგმაში). მოჰყვებოდათ ბიძა და მერე აღმოჩნდებოდა, რომ პროექტი
ბიძისა ყოფილა.

დაბალი მზაობა, ინფორმირებულობა - მენარმეობაში გამოცდილების არ-
ქონის პირობებში პოტენციური ბენეფიციარები არასწორად აფასებენ რისკებს,
მოსალოდნელ სარგებელს და საკუთარ შესაძლებლობებს, რაც ხშირად გადამე-
ტებული ან, პირიქით, დაბალი თვითშეფასების წინაპირობაა.

არასაკმარისი კაპიტალიზაცია - გამოყოფილი გრანტების მოცულობის და
იმავედროულად გაცემი გრანტების რაოდენობის სწორი ბალანსის მოძებნა ამ
ტიპის ინტერვენციების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. სტარტაპ
გრანტების გაცემის სისტემაში ჩართულმა ბევრმა ორგანიზაციამ ბენეფი-
ციართა რაოდენობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვნად შეამცირა სტარტაპ
გრანტის მოცულობა. პროგრამების ბენეფიციართა, ისევე როგორც დონორი
ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის აზრით, სტარტაპ გრანტებისათ-
ვის განსაზღვრული თანხების ოდენობა ძალიან მცირეა, რაც ზრდის ბიზნესის
განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს. გარდა ამისა, სოციალურად
დაუცველი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების დაფინანსების შემთხვაში
არსებობს იმის საშიშროება, რომ მათ მოგება მთლიანად მოახმარონ ოჯახის
მიმდინარე ხარჯებს და არ მოახდინონ რეინვესტირება ბიზნესში.

*„კაპიტალიზაცია მაინც არ არის საკმარისი, მთელი მოგება რე-
ინვესტიციისათვის გამოიყენება. აღმოჩნდა, რომ, იმის გარდა,
რაც გავაკეთეთ, კიდევ ბევრი რამ არის დასამატებელი, ამიტომ
ჯერჯერობით ოჯახს არაფერი მოხმარებია, უფრო მეტიც, სესხის
აღებას ვაპირებ დამატებით“.*

პროგრამის ბენეფიციარი

*„მცირე პრობლემაც კი შეიძლება გახდეს ბიზნესის გაკოტრების
მიზეზი. მაგალითად, დაავადების გამო დამეხოცა გოჭები და
ალარ ვიცი, როგორ გავაგრძელო მენარმეობა“.*

პროგრამის ბენეფიციარი

ზაზარზე დარგობრივი კომპეტენციების განმავითარებელი პროგრამების
პროვანიდირების ნაკლებობა - მიკროგრანტების თანმდევ საგანმანათლებლო
კომპონენტში გრანტის გამცემ ორგანიზაციებს დარგობრივი კომპეტენციების
განმავითარებელი პროგრამებისათვის პროვაიდერების მოძებნისას ხშირად
პრობლემები ექმნებათ.

"გვექონდა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მცდელობა, მაგრამ დიდი სურვილი არ გამოუთქვამთ. ვარემოს დაცვის მიმართულებით უფრო იოლია ინსტიტუციური თანამშრომლობა, სოფლის მეურნეობაში პროვადერების ქსელი არ არსებობს. მოთხოვნა ძალიან დიდია, მაგრამ მომწოდებელი ცოტაა. მაგალითად, ყველის ტექნოლოგიებში საქართველოში მხოლოდ 5 ექსპერტის მოძიებაა შესაძლებელი. საკითხს გააჩნია - აგრონომიის მიმართულებით მეტია, ვიდრე თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით".

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

წინასწარი კვლევების ნაკლებობა - მიკრომენარეობის მხარდამჭერი ინიციატივები ხშირად უსისტემო ხასიათისაა და ნაკლებად არის დაკავშირებული სამიზნე რეგიონის ან თემის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიასთან, ისევე როგორც ადგილებზე არსებულ საჭიროებებთან.

„სტარტაპებთან მუშაობა ძალიან რთულია. სტარტაპი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ამ საქმეში გამოცდილება არა აქვს. გამოუცდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ილუზიები აქვთ. შემოსავალი ნაკლებია, მოგება ნაკლებია, ბიზნესში რეინვესტირება ნაკლებია. ამიტომ მარკეტინგული კვლევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არსებული დაფინანსებული ბიზნესის დროს. ეს არის სრული აუცილებლობა“.

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

სოციალური დახმარების პაკეტების სიხისტი - მიკრომენარეობის მხარდამჭერის პროგრამებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას ხშირად აფერხებს ის ფაქტი, რომ მათ ანგარიშზე ფულის დარიცხვისთანავე ბენეფიციარებს უუქმდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი.

„ჩვენ უპირატესობას სოციალურად გაჭირვებულებს ვანიჭებთ, მაგრამ პრობლემას წავანყდით - მათ ეშინიათ, რომ სოციალურ დახმარებას დაკარგავენ და მეორეც, რომ ეს თანხა ვერ აუვა ოჯახის ხარჯებს. სოციალური პაკეტი უფრო სტაბილურად მიაჩნიათ, მით უმეტეს ახლა, როცა ის ორმაგდება. თუ ადრე გამოდიოდა ოჯახზე 150 ლარი, ახლა არის 300 ლარი. თითოეული ნევრი იღებდა 24 ლარ დახმარებას. ამას ემატება სოციალური შეღავათები - სწავლა, ჯანმრთელობის დაზღვევა და შენ კი ეუბნები, რომ 960 ლარს (ერთჯერადად) მოგცემ, სამაგიეროდ კი კარგავ 1000 ლარსო, რომელსაც ხელის გაუნძრევლად, გარანტირებუ-

ლად იღებს. რეალურად, სოციალური პოლიტიკა ამ ინიციატივას ხელს უშლის“.

დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

ჩამოთვლილი რისკების შემცირების მნიშვნელოვან სტრატეგიებად დონორი ორგანიზაციები შემდეგ ღონისძიებებს მიიჩნევენ:

- სტარტაპ გრანტების მონიტორინგის სქემები მყისიერი ამონაგების შეფასებაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ შედეგისა.
- პროექტის წარმატება ჩატარებული ტრენინგების ან შეძენილი საქონლის რაოდენობით კი არ უნდა გაიზომოს, არამედ იმით, თუ როგორ შეძლო ბენეფიციარმა ამ რესურსების გამოყენება.
- სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს სტარტაპ გრანტების აუცილებელი თანმდევი კომპონენტი.
- ადამიანმა, სულ მცირე, ბიზნესგეგმის შედგენა უნდა იცოდეს. რეინვესტირების მნიშვნელობის გააზრება უნდა შეეძლოს. თავისი დრო უნდა ჩაღოს ხარჯებში - ალტერნატიული ღირებულების ცნება თუ არ იცის, ესე იგი ვერაფერს გააკეთებს. ხშირად არ იციან, როგორია ინვესტიციის ეფექტიანობა. როცა გლახს ვუთხარით, რომ ნელინადში 110 ლარი აქვს შემოსავალი, გაგიჟდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა ამის შესახებ.
- ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა მნიშვნელოვანია ბენეფიციართა მოტივაციის გაზრდისათვის, თუმცა თანამონაწილეობის ოდენობა წინასწარი მოკვლევის საფუძველზე უნდა განისაზღვროს.
- ზოგიერთ შემთხვევაში არ მიიღება მხედველობაში, რა მოგებას ნახავს და საკმარისია თუ არა ის ოჯახისთვის. ეს ავტომატურად კლავს ინიციატივას. ამას ემატება ისიც, რომ კონტრიბუციით უნდა შემოვიდეს. თუ არაფერი არა აქვს, როგორ შემოდის კონტრიბუციით.
- საჭიროა ხანგრძლივი მონიტორინგი და დახმარება.
- ერთი წელი მარტო მოსამზადებელი სამუშაოსთვის არის საჭირო, სოფლის მეურნეობაში - განსაკუთრებით. მინიმუმ 4-5 წლი უნდა იყოს სტარტაპის პროექტი. 4 წელზე ნაკლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ამგვარი პროექტები.
- პროგრამების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოტენციურ ბენეფიციართა შესაძლებლობებისა და მდგომარეობის შესწავლას, რათა გარანტირებული იყოს მიზნობრივი ხარჯვა და პროექტის მდგრადობა. უნდა შემუშავდეს დახმარების დიფერენცირებული პაკეტი ღარიბი და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობისათვის.
- კარგად უნდა განისაზღვროს, ამ თანხებით ვის შეუძლია განვითარდეს, იმიტომ რომ არიან ღარიბები და უკიდურესად ღარიბები. ღარიბებს აქვთ

საშუალება, რომ განვითარდნენ, მაგრამ, თუ უპირველესი საჭიროებები არა გაქვს დაკმაყოფილებული და თვითგადარჩენაზე ფიქრობ, ბიზნესს ვერ დაიწყებ.

- საგანმანათლებლო პროგრამების პროვაიდერების ნაკლებობის პრობლემის აღმოსაფხვრელად პროვაიდერებთან თანამშრომლობას ინსტიტუციური ხასიათი უნდა მიეცეს. კერძოდ, დარგობრივი კომპეტენციების განვითარების პროგრამების დანერგვის მიმართულებით უნდა გაძლიერდეს კოოპერაცია ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემასთან - უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

7. სისტემური საკითხები და სასელმნიფოს როლი

მიკრობიზნესის ხელშეწყობის პროგრამების წარმატება საქართველოში დიდად არის დამოკიდებული ზოგად კონტექსტზე და ისეთი სისტემური საკითხების რეგულირებაზე, რომელიც სცდება ამ პროგრამებში ჩართული ორგანიზაციების მანდატს. მაკრო დონეზე ზოგადი ხედვის არსებობა და თანმიმდევრული ნაბიჯები ამ ხედვის განხორციელებისათვის ამ ინიციატივების წარმატების საწინდარია.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების აზრით, მიკრობიზნესის პროგრამების წარმატებისათვის მნიშვნელოვანი სისტემური საკითხებია:

- მიკრობიზნესის მფლობელთათვის მეტად ხელშემწყობი სამართლებრივი გარემოს შექმნა;

- სოციალური დახმარების გაუქმების პირობების იმგვარად შეცვლა, რომ ეს წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს მიკრობიზნესის ხელშემწყობი პროგრამების სტრატეგიასთან და არ აფერხებდეს მონყვლადი ჯგუფების მონაწილეობას ამ პროგრამებში;

სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე რეფორმების, ისევე როგორც მიკრობიზნესის ხელშემწყობი ცალკეული პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა:

- ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც, შესაძლებელია, დაუკავშირდეს მიკრობიზნესის განვითარების პროგრამებს სოფლად, წარმოადგენს კოოპერატივების ჩამოყალიბების სახელმწიფო ინიციატივა.

- მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიკრომენარეობის პროგრამების შედეგების მონიტორინგის ერთიანი სქემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მიკრომენარეობის ხელშემწყობი ინიციატივების დაკავშირება, ერთი მხრივ, მიკროსაფინანსო პროგრამებთან და, მეორე მხრივ, ფორმალური განათლების სისტემაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსებთან.

- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სისტემურ დონეზე უნდა გადაიჭრას, გახლავთ მიკრომენარმეობის ინიციატივების რეგიონალური განვითარების გეგმებთან დაკავშირება. მიკრომენარმეობის ხელშემწყობი ინიციატივების დაგეგმვისა და მონიტორინგის დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია რეგიონის პრიორიტეტების, დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შესახებ და, პირიქით, მიკრომენარმეობის ხელშემწყობი ინიციატივების სტრატეგია და შედეგები ინტეგრირებული უნდა იყოს რეგიონალური განვითარების გეგმებში.

8. მიკრომენარმეობის მხარდამჭერი საბრანტო სქემები - საერთაშორისო გამოცდილება და შედეგები

მიკრომენარმეობის მხარდამჭერი გრანტების სქემა დღეისათვის აქტიურად გამოიყენება მსოფლიოში, როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ინსტრუმენტი. მონყვლად ჯგუფებზე გათვლილ სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, როგორებიცაა საკრედიტო მომსახურება, დანაზოგის ფორმირების ხელშეწყობა, დაზღვევა და ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტები, ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს, როგორც ფინანსური უსაფრთხოების ქსელების ჩამოყალიბებას ღარიბ შინამეურნეობებში, ისე კაპიტალის უფრო ეფექტიანად გამოყენებას (World Bank, 2002).

ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან დღეისათვის ყველაზე ფართოდ მიკროსაფინანსო სქემები (სესხები, დანაზოგი) გამოიყენება. თუმცა მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მიერ განხორციელებული უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ მონყვლად ჯგუფებთან მუშაობის თვალსაზრისით უფრო ეფექტურ საწყის სტრატეგიას ხშირ შემთხვევაში გრანტების სქემა წარმოადგენს.

ეს მოსაზრება გამყარებულია ორი დაშვებით:

ა. საკრედიტო სქემებში ჩართულობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია მონყვლად ჯგუფებში (Navajas et al 2000; Morduch 2002)

საკრედიტო მომსახურება შედარებით ნაკლებად გამოიყენება უღარიბესი მოსახლეობის მიერ, რადგან მოსახლეობის ეს ჯგუფი (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მიკროსაფინანსო ინიციატივები სპეციალურად მათზეა გათვლილი და სპეციალური საინფორმაციო და წამახალისებელი კამპანიებიც ახლავს თან), არ განიხილავს სესხების პროგრამას, როგორც თავისთვის განკუთვნილ სერვისს, არც აქვს მცდელობა, გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები დაბალი თვითმეფასების გამო, ემინია სიახლის, თვლის, რომ არა აქვს „შესაბამისი ტანსაცმელი“ და სხვა (Ibid 2002).

მიკროკრედიტის ხელმისაწვდომობა ღარიბი და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობისათვის პრობლემაა არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში. მაგალი-

თად, ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყანებშიც მოსახლეობის მესამედს არა აქვს რაიმე სახის კავშირი ბანკთან, ნახევარს არა აქვს გახსნილი ანგარიში და დანაზოგი და დაახლოებით სამ მეოთხედს არა აქვს წვდომა კრედიტზე. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირში შემავალ 15 ქვეყანაში, 10-დან 8 ზრდასრულ ადამიანს შეუძლია მიიღოს საბანკო მომსახურება; ათიდან 7-ს აქვს დანაზოგი ან კრედიტი და ათიდან მხოლოდ ერთი აღნიშნავს, რომ კრედიტის აღებისას უარი მიიღო. ევროკავშირის უახლესი პუბლიკაციების თანახმად, საბაზო ფინანსურ ოპერაციებზე (საბანკო ანგარიში და მარტივი ტრანზაქციები) წვდომის შეზღუდულობა აფერხებს ინტეგრაციას ევროპის საზოგადოებაში, რადგან ფინანსური ექსკლუზია პირდაპირ კავშირშია სოციალურ ექსკლუზიასთან (European Commission 2010).

ბ. საკრედიტო მომსახურებაზე წვდომის პირობებშიც, მონყვლადი ჯგუფების კატეგორია უფრო ნაკლები ალბათობით იყენებს სესხს პროდუქტიულად (Parker and Pearce 2001)

შემოსავლის მომტანი საქმიანობის ნაცვლად სესხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაზო სამომხმარებლო და ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის. შესაბამისად, ვალზე დაფუძნებული ისეთი ინსტრუმენტის, როგორცაა მიკროკრედიტი, ამ ჯგუფთან გამოყენება კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას.

შესაბამისად, გრანტზე დაფუძნებული სქემები საწყისი საფეხურია, რომელიც ეხმარება გაჭირვებაში მყოფ ადამიანს, მიაღწიოს იმ მდგომარეობას, როცა მას შეუძლია ფიქრი სამომავლო გეგმებსა და ინვესტიციებზე. გარდა ამისა, გრანტი ეხმარება მონყვლად ჯგუფებს, შეიქმნან ერთგვარი სტაბილურობის გარანტია და გამოყონ დრო და რესურსები შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებისა და აქტივების ფორმირებისათვის, რაც შემდგომ საკრედიტო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მისი ეფექტურად გამოყენების წინაპირობაა (Parker and Pearce 2001).

ამგვარი ინტერვენციის თვალსაჩინო მაგალითია BRAC IGVD (Income Generation for Vulnerable Groups Development) პროგრამა ბანგლადეშში. ეს პროგრამა მთავრობის, World Food Program-ისა და ბანგლადეშის ერთ-ერთი უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაციის, BRAC-ის ერთობლივ ინიციატივას წარმოადგენს. იგი ეხმარება ბენეფიციარებს უკიდურესი სიღარიბიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონდიციაში გადასვლის პროცესში. პროგრამის სამიზნე ჯგუფს სოფლად მცხოვრები ქალები წარმოადგენენ. IV ინყება 18-თვიანი პირდაპირი დახმარებით (რომელშიც თანამონაწილეობს მთავრობა და World Food Program). პირდაპირი დახმარების კომპონენტს თან ახლავს ინტენსიური ტრენინგი მენარმეობაში. გარდა ამისა, ბენეფიციარები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის საბაზო პაკეტით. ამ დროის განმავლობაში მონაწილეები

სწავლობენ შემოსავლის მომტანი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას და იწყებენ საკუთარ საქმეს. ბოლო ათი წლის მანძილზე ამ პროგრამის ფარგლებში ამგვარი ტრანზიციის მილიონზე მეტმა ადამიანმა მოახდინა. ორწლიანი პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 80 % უკვე ფლობს მცირე შემოსავლის მომტან საქმეს, აქვს დანაზოგი და გახდა BRAC-ის მიკროსაკრედიტო სქემის ბენეფიციარი.

შეფასება აჩვენებს, რომ ბანგლადეშის პროგრამის კომპლექსური ფორმატი - გრანტი, ტრენინგი, თვითდასაქმება - ეფექტურად მუშაობს უკიდურესი სიღარიბის, სოციალური იზოლაციის, შესაბამისი კომპეტენციების ნაკლებობის, დაბალი თვითშეფასების დაძლევის მიმართულებით, რაც ადრე ამ ადამიანთა თვითდასაქმებისათვის ბარიერებს წარმოადგენდა (Hossain & Zahra, 2010).

საგრანტო კომპონენტის (როგორც უკიდურესად ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ მიმართული ინტერვენციების, სანყისი ეტაპის) ეფექტიანობაზე მიუთითებს მსოფლიო ბანკის უახლესი კვლევები სხვა ქვეყნებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევები სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობითაა განხორციელებული, იყენებს ექსპერიმენტულ დიზაინს და ფართო, რეპრეზენტატიულ შერჩევებს ეყრდნობა.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ მოწყვლადი ჯგუფებისათვის მიკრომეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო საგრანტო პროგრამის შეფასების თანახმად, უგანდაში მოწყვლადი ჯგუფებისთვის გაცემული მიკროგრანტები აუმჯობესებს დასაქმების მაჩვენებლებს და ამცირებს სიღარიბეს - პროგრამის დაწყებდან 4 წლის თავზე ისინი, ვინც გრანტი მიიღო, 41%-ით მეტ შემოსავალს იღებდნენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფი (იგივე სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე ჯგუფი, რომელიც არ იყო ჩართული პროგრამაში). საგრანტო სქემის ბენეფიციართა დასაქმების ალბათობა სახელობო სფეროში 65%-ით უფრო მაღალია, ბიზნესის რეგისტრაციის ალბათობა - 31 %-ით უფრო მაღალი, ხოლო გადასახადების გადახდისა და აღრიცხვის წარმოების ალბათობა - 40%-ით უფრო მაღალი, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (World Bank, 2013).

ასევე, უგანდაში განხორციელებული შეფასება მიუთითებს უკუგების უფრო მაღალ მაჩვენებლებზე ქალებისათვის. პროგრამაში ჩართულ ქალთა შემოსავალი 84 %-ით უფრო მაღალია საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებთან შედარებით, მაშინ როდესაც მამაკაცთა ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფებისათვის განსხვავება 31%-ს შეადგენს. ერთ-ერთი მიზეზი, კვლევის თანახმად, შეიძლება იყოს ისიც, რომ ქალებს (გრანტის არქონის შემთხვევაში), შემოსავლისა და დანაზოგის უფრო დაბალი სანყისი მაჩვენებლები ჰქონდათ და კრედიტის უფრო შეზღუდული წვდომა, რაც ართულებდა სანყისი კაპიტალის შეგროვების პროცესს.

ასევე, უგანდაში განხორციელებული კვლევით არ დადასტურდა ჰიპოთეზა

გრანტების არამიზნობრივად ხარჯვის მაღალი ალბათობის შესახებ მონაცემებს დაჯგუფებში. მათგან, ვინც მიიღო გრანტი, 76%-მა მიზნობრივად გამოიყენა თანხა. ასევე, გრანტის არმქონე პირებისათვის გაცილებით დაბალია პროფესიულ განათლებასა და სხვადასხვა ტრენინგებში ჩართვის ალბათობა.

კვლევის თანახმად, საგრანტო პროგრამის ბენეფიციარებმა არა მხოლოდ მიზნობრივად დახარჯეს, არამედ ეფექტიანად გამოიყენეს მიღებული თანხა. ყოველი ინვესტირებული დოლარიდან ერთი წლის განმავლობაში უკუგება 1.4 დოლარს შეადგენდა. საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, გრანტის მიმღებმა ჯგუფმა 4-5-ჯერ მეტი დახარჯა ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი მასალის შეძენაში. 4 წლის თავზე ბიზნესმასალების ღირებულება ბენეფიციართა ჯგუფში 51%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.

ანალოგიური კვლევის შედეგების თანახმად, ნიკარაგუაში ღარიბი მოსახლეობის მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა მნიშვნელოვნად ზრდის მონაწილეობისა და შემოსავლის მაჩვენებლებს და არასასოფლო-სამეურნეო სფეროში თვითდასაქმების მაჩვენებლებს. გარდა ამისა, ეს კვლევა მკაფიოდ აჩვენებს საგრანტო პროგრამების განსაკუთრებულ ეფექტს უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის ჯგუფზე (Macours et al, 2013).

მიუხედავად საგრანტო კომპონენტის ეფექტიანობისა, მონაცემები ჯგუფების ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამების დაგეგმვისას უნდა გათვალისწინებული იყოს რამდენიმე პირობა. კერძოდ:

თანამედროვე კვლევების თანახმად, გრანტი, მიკროკრედიტთან შედარებით, უფრო ეფექტურ საწყის ინტერვენციად მოიაზრება:

- საგანგებო სიტუაციების შემდგომ პერიოდში;
- ქრონიკული ეკონომიკური კრიზისის პირობებში;
- ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურის, სერვისისა და ბაზრის ნედრობის პირობებში;
- მოსახლეობის გაფანტულობის შემთხვევაში;
- ერთი ტიპის ეკონომიკურ აქტივობაზე დამოკიდებულების პირობებში;
- ბარტერზე დამოკიდებულების პირობებში;
- მოსახლეობის არასტაბილურობის პირობებში (იძულებით გადაადგილებული პირებით, ლტოლვილებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები).
- იმისათვის, რომ მიკროგრანტის ინსტრუმენტმა ეფექტურად იმუშაოს:
- გულდასმით უნდა იყოს შერჩეული მიზნობრივი ჯგუფი - მიკროგრანტების სქემა უნდა ემსახურებოდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ სარგებლობენ მირკოკრედიტით კონკრეტულ კონტექსტში (მაგალითად, უკიდურესად ღარიბი მოსახლეობა ან იძულებით გადაადგილებული პირები);
- უნდა იყოს ერთჯერადი და განიხილებოდეს, როგორც გარდამავალი ეტაპი მიკროკრედიტის ეტაპზე გადასასვლელად;

- უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული და ახლდეს მონიტორინგის ძლიერი კომპონენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნობრივი ხარჯვა.
- უნდა ახლდეს ტრენინგისა და კონსულტირების კომპონენტები;
- მოიაზრებდეს, სულ მცირე, 5-10-პროცენტთან კონტრიბუციას გრანტის მიმღების მხრიდან (Parker and Pearce 2001).

მიკროსაკრედიტო პროგრამებთან კოორდინაცია, როგორც მიკროგრანტების, ისე მიკროსაფინანსო ინიციატივების წარმატების აუცილებელი პირობაა. ასევე, საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ მიკროგრანტების კომპონენტის პარალელურად მნიშვნელოვანია:

- კომპლექსური ღონისძიებები სამიზნე რეგიონში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (გზები, კომუნიკაციები, ირიგაცია და სხვ.);
- არასაფინანსო სერვისის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ე.წ. „სოციალურ ინტერმედიაციას“ სოციალური კაპიტალის შექმნისა და თემში საბაზო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, ისევე როგორც ე.წ. ბიზნესის განვითარების სერვისი (Business Development Services/BDS). სოციალური ინტერმედიაცია ეხმარება ღარიბ და მარგინალურ ჯგუფებს ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებაში საბაზო საფინანსო უნარ-ჩვევების განვითარებისა და შესაბამისი საფინანსო სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით.

BDS პროგრამები კი მიმართულია პოტენციურ ან არსებულ მენარმეებზე, მიზნად ისახავს ბიზნესის წარმონწყობისა და განვითარების შემაფერხებელი ბარიერების აღმოფხვრას და მოიცავს შემდეგს:

- ტრენინგს, მენტორობას, საკონსულტაციო სერვისს;
- ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას საბაზრო აგენტების, მონაცემთა ბაზების, პუბლიკაციების, ვიზიტებისა და სხვა მექანიზმების გამოყენებით;
- მენარმეების დაკავშირებას ბაზართან და შემსყიდველებთან;
- ბიზნესსეულებისა და კავშირების დამყარებას, ფირმებს შორის კოოპერაციის ხელშეწყობას;
- ეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვას.

BDS პროვაიდერები ბოლო დროს უფრო მეტად კომერციულ სანყისზე მუშაობენ. ფასიანი სერვისი ხელს უწყობს ამ სერვისის ხარისხის გაუმჯობესებასა და უკეთ მორგებას საჭიროებებზე, ვინაიდან მენარმეები არ შეიძენენ სერვისს, რომელიც არ სჭირდებათ.

მიკროგრანტები, როგორც მენარმეობის ხელშემწყობი ინსტრუმენტი, გამოიყენება არა მხოლოდ გარდამავალი, არამედ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც. მაგალითად:

სტარტაპ გრანტები ინტენსიურად გაიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში; ავსტრალიაში ახალი საწარმოების წახალისების სქემა გულისხმობს გრანტებს, მცირე ბიზნესის მართვის ტრენინგს, ფინანსური დახმარების 12-თვიან პაკეტს, ბიზნესკონსალტინგსა და მენტორობას. ახალ ზელანდიაში მოქმედი სახელმწიფო სქემები სრულად ან ნაწილობრივ ფარავს საწარმოს გახსნის ხარჯებს.

ფინანსების წვდომის გაუმჯობესება კრიზისთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ევროპაშიც. მიკროსაფინანსო ოპერაციებთან ერთად ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს სასტარტო სუბსიდიები და ტექნიკური დახმარების სქემები, მაგალითად, სუბსიდიები კონსალტინგში (ლუქსემბურში) ან უმუშევარ ქალთათვის მენარმეობის მხარდაჭერის პროგრამა (საბერძნეთში).

მალტაში მოქმედი სქემა „დაიწყე შენი ბიზნესი“ მიზნად ისახავს უმუშევარი და პასიური მოსახლეობის მხარდაჭერას საკუთარი ბიზნესის წამოწყების პროცესში. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა შეიძლება ისარგებლონ კონსულტირების სერვისით, გაიარონ ტრენინგი და მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა.

სოფლად ბიზნესის წამოსაწყებად საფრანგეთში 250 განსხვავებული საგრანტო სქემა და სუბსიდია მოქმედებს. მათ შორისაა, როგორც ევროკავშირის სუბსიდიები, ისე გრანტები ცენტრალურ, რეგიონალურ და თემის დონეზე.

ევროპის მასშტაბით მიკრომენარმეობის დაწყებისათვის საჭირო საწყისი კაპიტალი, ძირითადად, უზრუნველყოფილია უფრო ფართო პოლიტიკური ინიციატივების კონტექსტში და მიმართულია ინოვაციების ხელშეწყობისაკენ მენარმეობასა და, ზოგადად, ბიზნესში.

ანგარიშის დანართში დეტალურად არის აღწერილი პოლონეთის მაგალითი, სადაც მენარმეობის მხარდამჭერი მიკროგრანტები დასაქმებისა და მენარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო ინტერვენციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

9. მთავარი დასკვნები

მიკრომენარმეობის ხელშემწყობი სტარტაპ გრანტები საქართველოში დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ჯგუფების დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლების ზრდის ეფექტური ინსტრუმენტია. პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და ბენეფიციარების შეფასებით:

- მცირე ბიზნესის განვითარების საგრანტო პროგრამები საწყისი კაპიტალის ხელმისაწვდომობის გაზრდის ეფექტური ინსტრუმენტია, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობისათვის, სადაც, მიკროსაფინანსო სფეროში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად, ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და ბიზნესის წამოწყების საწყის ეტაპზე სესხი მიკროგრანტის ალტერნატივად არ განიხილება მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო.
- სტარტაპ გრანტები სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდის წინაპირობასაც წარმოადგენს, რადგან მიკროსაფინანსო პროგრამების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ბენეფიციარების გამოცდილება და კომპეტენციები, საწყისი ეკონომიკური და სოციალური კაპიტალი. ამ თვალსაზრისით სტარტაპ გრანტი არის ბენეფიციარების მომზადების ეფექტური საშუალება, რომელიც ზრდის მიკროსაფინანსო პროგრამებში ჩართვის მოტივაციასა და ამ პროგრამებში წარმატების ალბათობას.
- სტარტაპ გრანტი ეფექტურად მუშაობს საქართველოში, როგორც ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ინსტრუმენტი. იგი მენარმეობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცებას უწყობს ხელს. ეს კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ საბჭოთა კავშირში ფორმალური განათლების სისტემის სასწავლო გეგმები არ ითვალისწინებდა მენარმეობისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებას, ხოლო მოწყვლადი ჯგუფების (განსაკუთრებით უფროსი ასაკის მოსახლეობის) ჩართულობა უმაღლეს აკადემიურ და პროფესიულ განათლებაში დღეისათვის მცირეა.
- დონორებისა და ბენეფიციარების უკუკავშირის თანახმად, სტარტაპ გრანტები, ასევე, ხელს უწყობს სოფლად თემის გაძლიერებას - სამუშაო ადგილების შექმნას, სერვისების და საქონლის ხელმისაწვდომობას.
- სტარტაპ გრანტების ეკონომიკურ ეფექტთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამების სოციალური ეფექტი:
- პროგრამები ხელს უწყობს ადამიანთა მობილიზებას (ორგანიზებას, სტიმულირებას) მენარმეობისათვის და მათ მიერ პირველი ნაბიჯის გადადგმას.
- მენარმეობა ცვლის თვითშეფასებას, ზრდის საკუთარი თავის იმედს და დადებითად აისახება რისკის აღქმაზე. დადებითი მაგალითი მნიშვნელოვანია შრომითი მოტივაციის შემდგომი ამაღლებისათვის; პროგრ-

- ამები ეხმარება ბენეფიციარებს სოციალური კავშირების გამდიდრებაში;
- სტარტაპ გრანტები ხელს უწყობს სოციალური როლების სტრუქტურის შეცვლას, გენდერულ თანასწორობას, ბენეფიციარების სოციალური სტატუსის ამაღლებას, როგორც თემში, ისე ოჯახში.
- სტარტაპ გრანტები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად მენარმის, არამედ მისი ოჯახის წევრების დასაქმების თვალსაზრისითაც;
- პროგრამის მონაწილეთა წარმატება სხვებისათვის მაგალითია. თუმცა, შესაძლოა, ეს თემში შურისა და კონფლიქტის მიზეზიც გახდეს.

მიუხედავად ამ ტიპის პროგრამების პოზიტიური ეფექტისა, დონორები და ბენეფიციარები შედეგების გაანალიზებისას გარკვეულ შეზღუდვებსაც აღნიშნავენ:

- დაფინანსებული ბიზნესპროექტების საშუალოდ ნახევარზე მეტს გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემები ექმნება მდგრადობის თვალსაზრისით;
- ხშირ შემთხვევაში დაფინანსებული ბიზნესპროექტები წლების შემდეგ იმავე სახისაა და ნაკლებად ვითარდება;
- მიკრო ბიზნესპროექტების განვითარების პერსპექტივები დიდად არის დამოკიდებული ცალკეულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და კოოპერაციაზე, თუმცა ცალკეულ პროექტებს შორის თანამშრომლობის მაგალითები ან ცოტაა, ან საერთოდ არ არის.

მიკრომენარმეობის მხარდამჭერი სტარტაპ გრანტების ეფექტურობის შემაფერხებელ ფაქტორებად სახელდება:

- პოტენციურ ბენეფიციართა დაბალი მზაობა, ინფორმირებულობა და პასუხისმგებლობა - მენარმეობაში გამოცდილების არქონის პირობებში პოტენციური ბენეფიციარები არასწორად აფასებენ რისკებს, მოსალოდნელ სარგებელს და საკუთარ შესაძლებლობებს.
- არასაკმარისი კაპიტალიზაცია - რის შედეგადაც იზრდება ბიზნესის ჩავარდნის რისკები, ხოლო დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ბენეფიციარებში მცირდება ბიზნესში რეინვესტირების ალბათობა.
- ბაზარზე დარგობრივი კომპეტენციების განმავითარებელი პროგრამების პროვაიდერების ნაკლებობა და, კერძოდ, ნაკლები კავშირი ფორმალური განათლების სისტემასთან, რაც აფერხებს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობასა და ეფექტიანობას.
- მიკრომენარმეობის მხარდამჭერის ინიციატივების ნაკლები კავშირი სამიზნე რეგიონის ან თემის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიასთან, ისევე როგორც ადგილებზე არსებულ საჭიროებებთან.
- სოციალური დახმარების პაკეტების სიხისტე - მიკრომენარმეობის მხარდამჭერის პროგრამებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობას ხშირად აფერხებს ის ფაქტი, რომ მათ ანგარიშზე ფულის დარიცხვისთანავე ბენეფიციარებს უუქმდებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი.

10. რეკომენდაციები

რეკომენდაციები სისტემური ხასიათისაა და განკუთვნილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტებისა და მთავრობისათვის.

წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი შეასრულოს მიკრომენარმეობის განვითარებაში და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა სამენარმეო აქტივობას. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სამართლებრივი და საგადასახადო რეგულაციების შექმნას, არამედ მიკრომენარმეობის წამახალისებელი კონკრეტული ღონისძიებების ჩატარებასაც. წარმოდგენილი რეკომენდაციები გამომდინარეობს ზემოთ აღწერილი კვლევის დასკვნებიდან და შედეგებიდან:

1. მიკრომენარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ჩარჩო-მექანიზმის შექმნა

- უმთავრესი შეთავაზებაა, შეიქმნას მიკრომენარმეობის წახალისების სახელმწიფო ჩარჩო-მექანიზმი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის მიკრომენარმეობის ხელშეწყობის ცალკეული სახელმწიფო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას;

- მექანიზმი უნდა მოიცავდეს მიკრომენარმეობის ხელშეწყობის ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებს, პრიორიტეტულ მიზნობრივ ჯგუფებს, პროგრამების მთავარ მიდგომებს და განხორციელების გზებს, ასევე მიკრომენარმეობის პროგრამების მქონე სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პრინციპებს;

- მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთმა სახელმწიფო უწყებამ შეითავსოს მიკრომენარმეობის ხელშეწყობის ყველა პროგრამის მონაცემების მოგროვების, ეფექტიანობის კვლევის და პოლიტიკის შეფასების ფუნქცია. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების მუდმივ სრულყოფას და მენარმეობის წახალისების პოლიტიკის განვითარებას;

- მიკრომენარმეობის მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის მართვის საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით მიკრომენარმეობის უზრუნველყოფას საწყისი კაპიტალით (გრანტის ან სუბსიდირებული კრედიტის სახით) და შესაბამისი სასწავლო თუ საკონსულტაციო დახმარებით. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ჩარჩო-მექანიზმი ამ კომპონენტებს ითვალისწინებდეს;

- ძალზე ეფექტიანი იქნება მიკრომენარმეობის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება მუნიციპალურ დონეზე. ამიტომ რეკომენდებულია, რომ მუნიციპალიტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, ადგილზე განახორციელონ სახელმწიფო უწყებების პროგრამები.

2. მიკრომენარეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება

- მიკრომენარეობის ხელშეწყობა უნდა ხორციელდებოდეს ჩარჩო-მექანიზმზე დაყრდნობით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ ინიცირებული პროგრამების სახით;
- ყოველი პროგრამა კონკრეტულად უნდა განსაზღვრავდეს მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის მოქმედების გეგმას და მოსალოდნელ შედეგებს. ასევე, უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგისა და შეფასების გამართულ სისტემასაც, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადი ეკონომიკური (დასაქმება, შინამეურნეობის შემოსავლის ზრდა, წილი მთლიან შიდა პროდუქტში) და სოციალური (სამენარმეო აქტივობა, თვითშეფასება, კმაყოფილება ცხოვრებით) შედეგების გაზომვას;
- პროგრამები, შესაძლოა, ხორციელდებოდეს შესაბამისი უწყების მიერ გარედან შესყიდული მომსახურების გზით, კერძოდ, საპროექტო წინადადებების კონკურსით, რომელშიც მონაწილეობის უფლება ექნებათ, როგორც მუნიციპალიტეტებს, ასევე კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს;


3. გამომწდილების გაზიარება და თანამშრომლობა საზოგადოებრივ საქმეებში

- რეკომენდებულია, რომ მიკრომენარეობის პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო სტრუქტურებმა ითანამშრომლონ ქართულ საზოგადოებრივ და საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ ამგვარი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. თანამშრომლობა, შესაძლოა, გულისხმობდეს, როგორც გამოცდილების გაცვლას, ასევე ამ ორგანიზაციების მონაწილეობას პროგრამების განხორციელებაში;

4. სამენარეო უნარების სწავლება

- გრძელვადიანი შედეგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს ზოგადი განათლების პროგრამებში მენარეობის უნარ-ჩვევების სწავლებას და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების განვითარებას. ამ მიზნით, პირველ რიგში, რეკომენდებულია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშაოს სპეციალური სამოქმედო გეგმა და მოიძიოს შესაბამისი რესურსები;
- ასევე მნიშვნელოვანია, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ბიზნესის წარმოების საბაზისო უნარების სწავლება ზრდასრული მოსახლეობისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭება ზრდასრულთა არაფორმალური განათლების პროგრამებს. რადგან ქვეყანაში არ არსებობს ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ერთიანი პოლიტიკა, პირველი რიგის პრიორიტეტად გვესახება სახელმწიფო ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება ამ მიმართულებით.

სქემა - მიკრო-მეწარმეობის ხელშეწყობის სისტემური მიდგომა



ანგარიში მიკრომენარმოგასთან დაკავშირებული საბრანტო პროგრამების მხრივ პოლონეთში არსებული გამოცდილების შესახებ

მომზადებული ჟეშუვის „რეგიონული განვითარების სააგენტოს“ მიერ

1. როდის დაიწყო პოლონეთში ანალოგიური პროექტების განხორციელება?

მენარმეობისა და თვითდასაქმების გაფართოება მიიჩნევა უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად - იგი ზრდის პროფესიულ საქმიანობას საზოგადოებაში და სტიმულირებას უწევს რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. 2004-2006 წლების პერიოდში, ანუ ევროკავშირში პოლონეთის განეწიანების შემდეგ, რეგიონული განვითარების ინტეგრირებული საოპერაციო პროგრამის ფარგლებში შემოიღეს ღონისძიება 2.5 - მენარმეობის ხელშეწყობა. ზემოხსენებული ღონისძიების უშუალო ამოცანა იყო დასაქმების აქტიური ხელშეწყობა ახალი მიკრობიზნესების დაარსების სტიმულირებისა და ახლად შექმნილი ბიზნესებისთვის დახმარების ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების გამოყენებაში ხელშეწყობის გზით.

2007-2013 წლების პერიოდში შემოიღეს საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალი“, რაც შესაძლებელს ხდის განაცხადის წარდგენას თანადაფინანსებაზე ახალი ბიზნესაქტივობის წამოსაწყებად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა ღონისძიება 6.2 - მენარმეობისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა და სტიმულირება. ამ ღონისძიების მიზანია ისეთი ინიციატივებისა და პროცესების ხელშეწყობა და სტიმულირება, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და პროდუქტიული მიდგომების დამკვიდრებას. აღნიშნული ახალი სამუშაო ადგილები და პროდუქტიული მიდგომები საფუძვლად დაედება მენარმეობისა და თვითდასაქმების იდეის განვითარებას.

2. რომელი ჯგუფები იღებენ სტარტაპს მთავრობისგან?

ღონისძიება 6.2-ის - მენარმეობისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა და სტიმულირება - ფარგლებში დახმარება შეიძლება გაენიოს პირს, რომელიც აპირებს ახალი ბიზნესის წამოწყებას (გარდა იმ პირებისა, ვინც რეგისტრირებული იყო ბიზნესსაქმიანობის რეესტრში, კომპანიათა იურიდიულ რეესტრში (LROC), ან ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას სხვა კანონის საფუძველზე, მათ შორის იურისტის, დავალიანებათა ამოღებაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობას ან პედაგოგის საქმიანობას, პროექტში ჩართვის თარიღამდე 12-თვიან პერიოდში).

ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში დახმარება მიმართულია მიზნობრივ ჯგუფებზე, რომლებიც ყველაზე დიდ სირთულეებს განიცდიან შრომის ბაზარზე შესვ-

ლაში და იქ დამკვიდრებაში. კერძოდ, ამ ჯგუფებში შედიან:

- პირები, ვინც პროექტში ჩართვის თარიღამდე ბოლო 24 თვის განმავლობაში, სულ მცირე, 12 თვეს (ზედიზედ) იყო უმუშევარი;
- ქალები (კერძოდ, ის ქალები, ვინც ბრუნდება და შედის შრომის ბაზარზე ბავშვის დაბადებასთან ან აღზრდასთან დაკავშირებული წყვეტის შემდეგ, მაგალითად, სადეკრეტო შვებულების შემდეგ);
- 25 წლამდე ასაკის პირები, მათ შორის სტუდენტები, რომლებიც სრული დატვირთვით სწავლობენ;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც სამსახურს ეძებენ;
- 45 წელზე უფროსი ასაკის პირები;
- სოფლად და/ან სასოფლო/ურბანულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები და 25 000-მდე მოსახლეობის მქონე ქალაქებში მცხოვრები პირები, ვინც აპირებს სამუშაოს პოვნას ისეთ ადგილებში, სადაც არ ხდება მარცვლეულის მოყვანა და/ან საქონლის მოშენება.

პროექტის განმახორციელებელ თითოეულ დანესებულებას აქვს უფლება/ შესაძლებლობა, დაავინროს პროექტისთვის აყვანილი მიზნობრივი ჯგუფი ზემოთ მითითებულ კატეგორიებამდე. თითოეულ მონაწილეს, რომელიც ეძებს ფინანსურ დახმარებას მენარმეობის განვითარების მიზნით ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში, მოეთხოვება, წარმოადგინოს განცხადება, რომ იგი პარალელურად არ სარგებლობს სხვა სახელმწიფო ფონდებით, განსაკუთრებით კი შრომის ფონდის სახსრებით ან საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ფინანსური წყაროებით, რომლებიც გამიზნულია ბიზნესსაქმიანობის წამოწყებასთან და მართვასთან ან კოოპერატივის თუ სოციალური კოოპერატივის წამოწყებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.

3. რომელი სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფენ თანადაფინანსებას ახალი ბიზნესების წამოსაწყებად?

ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოსაწყებად და ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად თანხები გრანტების სახით შეიძლება გამოყონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ბიზნესინკუბატორებმა, ბიზნესგარემოს დანესებულებებმა, ტრენინგის დანესებულებებმა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, უნივერსიტეტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. ყველა ზემოხსენებული დანესებულება და ორგანიზაცია შეირჩევა განაცხადების კონკურსით და საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში განმახორციელებელი დანესებულებებისთვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე პოლონეთის 16 პროვინციაში (სავოევოდოში). განმახორციელებელი დანესებულებები - უმეტეს

შემთხვევაში შრომის სამსახურები - შეაფასებენ წარდგენილ განაცხადებს და შეფასების შედეგად შეირჩევა ის დაწესებულებები, რომლებიც შეასრულებენ „საგრანტო“ პროექტებს.

საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში პროექტების განმახორციელებელი დაწესებულებები პასუხისმგებელნი არიან შერჩევის პროცედურის ჩატარებაზე, ანუ დაქირავების პროცესზე, ბიზნესსაქმიანობის წარმართვის პრინციპებთან დაკავშირებით ტრენინგების ორგანიზებაზე, იმ პირების შერჩევის პროცედურის წარმართვაზე, რომელთაც მიენიჭებათ ფინანსური დახმარება ახალი ბიზნესსაქმიანობის დასარეგისტრირებლად და დასაწყებად, ფინანსური დახმარების მინიჭების პროცედურაზე და მინიჭებული ფინანსური დახმარების ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობის მაკონტროლებელ საქმიანობაზე.

ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოსაწყებად ფინანსური დახმარების მიღებით დაინტერესებულმა პირმა პირადად უნდა მიმართოს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროექტებს საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ღონისძიება 6.2-ის ფარგლებში, რათა მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული პროექტისთვის დაკომპლექტების პროცესში.

განმახორციელებელი დაწესებულებები არც ტრენინგისთვის დაკომპლექტების პროცესს აწარმოებენ და არც გრანტებს გამოყოფენ ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოსაწყებად. მათი ამოცანაა განაცხადების კონკურსის გამოცხადება/გამოქვეყნება. ამ განაცხადებაზე გამოხმაურება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ დაწესებულებას, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს - მან უნდა წარადგინოს განაცხადის ფორმა, მათ შორის დეტალური ბიუჯეტი და მთელი პროექტის განხორციელების განრიგი. განაცხადების პროცესის შემდეგ განმახორციელებელი დაწესებულებები პასუხს აგებენ საუკეთესო პროექტების შერჩევასა და მათთვის ფინანსური რესურსების გადაცემაზე განხორციელების, ანგარიშსწორების და კონტროლის მიზნით.

4. რა პირობებით გაიცემა ბიზნესის სტარტაპის ფონდები?

პირი, რომელსაც სურს ფინანსური დახმარების მოპოვება, უნდა აკმაყოფილებდეს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დაწესებულ ყველა მოთხოვნას და უნდა შეირჩეს პროექტში მონაწილეობის მისაღებად. მონაწილეობის მისაღებად აყვანის პირობებსა და მოთხოვნებს ადგენენ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები და ისინი შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, პირად გასაუბრებას, ბიზნესგეგმის წინასწარი მონახაზის წარდგენას, ფსიქოლოგიურ ტესტებს ბიზნესის დამოუკიდებლად წარმოებისთვის კანდიდატების შესაფერისობის დასადგენად. პროექტისთვის შერჩევის და კონსულტაციებისა და ტრენინგის ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ

პროექტის თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეიტანოს განაცხადი თანხებზე საკუთარი ბიზნესის დასაწყებად. პროექტის შემდეგი ნაბიჯია ფინანსური დახმარების მისაღებად განაცხადის ფორმების და ყველა აუცილებელი დანართის წარდგენის საბოლოო ვადის დადგენა. განაცხადის ფორმებს აფასებს კომისია, რომელიც ინიშნება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ. ხდება ახალი ბიზნესის რეგისტრირება პროექტის განმავლობაში. ეს უნდა განხორციელდეს ამ კონკრეტული პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისგან ფინანსური დახმარების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. არ შეიძლება ფინანსური დახმარების (გრანტის) გამოყოფა თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორებში ბიზნესსაქმიანობისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის თანამეგობრობის საბჭოს №104/2000 განკარგულებაში). არის აგრეთვე შეზღუდვები სოფლის მეურნეობის სექტორში ბიზნესებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისა და რეალიზაციისთვის. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ექვი კონკრეტული ტიპის საქმიანობისთვის ფინანსური დახმარების მოპოვების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, უნდა გაეცნოს რეგიონული განვითარების მინისტრის 2008 წლის 6 მაისის ბრძანების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ფარგლებში ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ნებისმიერი გამონაკლისები ზემოხსენებული ფინანსური დახმარების მისაღებად განაცხადის შეტანის შესაძლებლობიდან.

5. რომელ სხვა შესაბამის მომსახურებას ეხება ეს ფონდები: მაგალითად, სწავლებას?

ლონისძიება 6.2-ის - მენარმეობის და თვითდასაქმების ხელშეწყობა და სტიმულირება - ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი უსასყიდლო დახმარება, რომელიც უნდა გაენიოს პირებს, რომელთაც სურთ ახალი ბიზნესსაქმიანობის დაწყება (მათ შორის კოოპერატივებისა და სოციალური კოოპერატივების ჩამოყალიბება):

- ფონდების გამოყოფა მენარმეობის განვითარებისთვის (მათ შორის კოოპერატივებისა და სოციალური კოოპერატივების ფორმებისთვის, იმ პირობით, რომ კოოპერატივის ყველა წევრს დაწყებული აქვს ბიზნესსაქმიანობა ერთი პროექტის ფარგლებში) 40,000 პოლონური ზლოტის მაქსიმალურ თანხამდე ერთ პირზე (და 20,000 პირზე კოოპერატივებისა და სოციალური კოოპერატივების შემთხვევაში). გრანტმა შეიძლება დაფაროს ახალი ბიზნესის წამოწყების ღირებულებასთან დაკავშირებული ხარჯების 100%. არსებობს საკუთარი ფინანსური რესურსების გამოყენების ან ნატურით შენატანის გაკეთების შესაძლებლობა. გრანტი გაიცემა ორ ცალკე ტრანშად. პირველ ტრანშს იხდიან მთლიანი მიღებული გრანტის 80%-ის ოდენობით. დარჩენილ ნაწილს გასცემენ

ახალი ბიზნესსაქმიანობის რეგისტრირებასა და დაწყებაზე გაღებული ხარჯების ასანაზღაურებლად. ეს ნიშნავს, რომ პროექტის ბენეფიციარებმა უნდა შეიტანონ საკუთარი რესურსები, რომლებიც ანაზღაურდება ყველა განეულ ხარჯთან დაკავშირებული საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ. გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაპიტალური დანახარჯების (მათ შორის ძირითადი საშუალებების, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების ღირებულების) და ლიკვიდურ აქტივებთან დაკავშირებული ხარჯების (რომლებიც დამტკიცდა, როგორც აუცილებელი ამ კონკრეტული ბიზნესსაქმიანობის დასაარსებლად და სათანადოდ იქნა დასაბუთებული განმცხადებლის მიერ) დასაფარად. ფინანსური დახმარების მეშვეობით შეძენილი ლიკვიდური აქტივების (საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ 1994 წლის 29 სექტემბრის კანონში მოცემული მნიშვნელობით) საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს გამოყოფილი დახმარების 40%-ს.

- დამხმარე ხელშეწყობა (ე.წ. „ბრიჯინგი“), რომელიც გაიცემა 6/12 თვის განმავლობაში კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან, მოიცავს: ა) „ბრიჯინგის“ ფინანსურ ხელშეწყობას, რომელიც უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად იმ მინიმალური ყოველთვიური ხელფასის ოდენობით, რომელიც არსებობდა „ბრიჯინგის“ კონტრაქტის ხელმოწერისას; ბ) ტრენინგს და კონსულტაციებს გრანტის ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით (მხოლოდ იმ მონაწილეებისთვის, ვინც ახალი ბიზნესსაქმიანობა ამ კონკრეტული პროექტის ფარგლებში დაიწყო). „ბრიჯინგის“ ძირითადი დახმარება გაიცემა პროექტის იმ ბენეფიციარის თხოვნით, ვინც წარადგინა განაცხადის ფორმა. „ბრიჯინგი“ ბენეფიციარისთვის ხდება 6 თვის განმავლობაში ხელშეკრულების დადებიდან და აღნიშნულ დახმარებასთან დაკავშირებით კონტრაქტის ხელმოწერიდან. ზოგიერთ მიზანშეწონილ შემთხვევაში და ასევე ბენეფიციარის თხოვნით „ბრიჯინგი“ შეიძლება 12 თვემდე გაგრძელდეს. პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ ზოგიერთ მიზანშეწონილ შემთხვევაში დათანხმდნენ პროექტის ბენეფიციარის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურებას ბიზნესსაქმიანობის რეგისტრირებიდან „ბრიჯინგის“ ხელშეწყობის თაობაზე კონტრაქტის ხელმოწერის თარიღამდე დროის პერიოდში. ჩვეულებრივ, „ბრიჯინგი“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგისტრირებისა და ბიზნესსაქმიანობის დაწყების შემდგომი პერიოდისთვის. „ბრიჯინგის“ ხელშეწყობა შეიძლება მიენიჭოს წარმოდგენილი განაცხადის ფორმის საფუძველზე და მას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები: სპეციფიკური კონსულტაცია - ტრენინგით მომსახურება ან ფინანსური დახმარება, რომელიც გაენევა ყოველთვიურად იმ მინიმალური ყოველთვიური ხელფასის ოდენობით, რომელიც არსებობდა „ბრიჯინგის“ კონტრაქტის ხელმოწერისას, კონკრეტულ ახლად დაარსებულ ბიზნესსაქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული თვიური ხარჯების დასაფარავად. „ბრიჯინგის“ ფინანსური ხელშეწყობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს

ხარჯების შემდეგი ტიპების დასაფარავად:

- ფინანსური შენატანები, გარდა პირგასამტეხლოების და ჯარიმებისა;
- სატელეკომუნიკაციო გადასახადები (ტელეფონი, ინტერნეტი და ა.შ.);
- კომუნალური გადასახადების ხარჯები (წყალი, გაზი, ელექტროენერჯია და ა.შ.);
- იჯარის, ქირის ხარჯები;
- მანქანა-დანადგარებისა და აპარატურის ქირაობის და იჯარის ხარჯები;
- ინდივიდუალური და სიცოცხლის დაზღვევის ხარჯები;
- ბიზნესსაქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობების ქვეკონტრაქტებით გაცემის ხარჯები (მაგალითად, საბუღალტრო მომსახურება, ვებგვერდის შექმნის და წარმოების ხარჯები და ა.შ.);
- კონსულტაციები (ინდივიდუალური ან ჯგუფური) და ტრენინგი ახალი ბიზნესსაქმიანობის დაწყებამდე, ისეთი ახალი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შესაძენად, რომლებიც აუცილებელია ახალი ბიზნესის წამოსაწყებად და სამართავად. ტრენინგი მოიცავს სულ მცირე ტრენინგს და/ან კონსულტაციებს ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა დახმარებას შეიძლება უფრო ფართო სახე ჰქონდეს. დახმარების დეტალური მოცულობა შეიძლება განსხვავებული იყოს კონკრეტული პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიხედვით. მოსალოდნელია, რომ პროექტის თითოეული მონაწილე მონაწილეობას მიიღებს სავალდებულო საკონსულტაციო-ტრენინგის მოდულში, თუმცა ამ თვალსაზრისით საბოლოო გადაწყვეტილებას ორგანიზაცია ღებულობს. მაგრამ ტრენინგში მონაწილეობიდან გამონაკლისის დაშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია შესაძლებელი.

6. ხდება თუ არა შედეგების შეფასება და ანალიზი? რამდენად ეფექტიანია ასეთი მიდგომა სიღარიბესთან ბრძოლის და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით?

იმ პროექტების მთავარი მიზანი, რომლებიც განკუთვნილია საკუთარი ბიზნესსაქმიანობის წამოწყების მსურველი ადამიანებისათვის, არის ისეთი პირობების დამკვიდრებაში დახმარების განევა, რომლებიც ხელს უწყობს მენარმეობის და თვითდასაქმების განვითარებას და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ღონისძიება 6.2 ფოკუსირებულია უმთავრესად იმ ყველაზე მეტად დაუცველ ჯგუფებზე, რომლებსაც ყველაზე დიდ ბარიერები ხვდებათ შრომის ბაზარზე შესვლაში და იქ დამკვიდრებაში. პროექტები გამიზნულია 25 წლამდე ასაკის პირების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, 45 წელზე უფროსი ასაკის პირებისა და დიდი ხნის განმავლობაში უმუშევრებისთვის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს,

რომ პროექტები ჩვეულებრივ ხორციელდება იმ ახალგაზრდა უნარშეზღუდული ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ მაღალი საფეხურის ან უმაღლესი განათლება და რომლებიც უვლიან ბავშვებს და მათ კმაყოფილებაზე მყოფ სხვა პირებს. როგორც პროექტების განხორციელების პროცესში, ისე მათი დასრულებისას ხდება სხვადასხვა მონაცემთა მონიტორინგი და გროვდება შემდეგი სახის ინფორმაცია: რამდენმა ადამიანმა მიიღო სარგებელი ამ პროექტიდან (მათ შორის, ხდება კლასიფიცირება ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, განათლების დონის მიხედვით), რამდენ ადამიანს გამოეყო ფინანსური დახმარება და სხვა სახის დახმარება, რამდენი დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რამდენ ხანს წარიმართებოდა ახალი ბიზნესსაქმიანობა, როგორი შედეგები აქვს მას და ა.შ. გარდა ამისა, ხდება ისეთი ასპექტების შესწავლა, როგორიცაა ბენეფიციარების კმაყოფილება პროექტით, მიღებული დახმარების შეფასება, ტრენინგამდე და კონსულტაციებამდე არსებული ცოდნის დონის შედარება მიღებული ცოდნის დონესთან და ა.შ.

ყეშუვის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიერ ღონისძიება 6.2-ის პროექტების ბენეფიციარების შესახებ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოწყებაში ყველაზე დიდი დახმარების გამწვანად და სასარგებლოდ მიიჩნევა უსასყიდლო გრანტები. რაც შეეხება პროექტის მონაწილეთა ასაკს, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი მოიცავს 25-34 წლის, ასევე 45 წელზე უფროსი ასაკის პირებს. ხოლო რაც შეეხება პროექტის მონაწილეთა განათლების დონეს, მათ უმეტესობას აქვს მაღალი საფეხურის ან უმაღლესი განათლება. პროექტების ტერიტორიული გავრცელების მხრივ, მონაწილეთა უმეტესობა ურბანული ტერიტორიებიდანაა.

დღემდე ყველაზე გავრცელებული მიზეზი იმისა, თუ რატომ შეაქვთ განმცხადებლებს განაცხადი დახმარების ზემოხსენებული ფორმების მისაღებად, არის მათი სურვილი, მოიპოვონ თანხები, რომლებიც მისცემს მათ შესაძლებლობას, წამოიწყონ ახალი ბიზნესსაქმიანობა. მეწარმეობა გადამწყვეტი ფაქტორია სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და არსებითი პირობა/წინაპირობა ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მისაღწევად. ბიზნესსაქმიანობის პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში და უმუშევრობის დონის შემცირებაში.

პოდეკარპატიეს საგოეგოდოში 2007 წლიდან 2013 წლის მარტამდე პერიოდში 10 766 პირმა მიიღო გრანტი ახალი ბიზნესსაქმიანობის წამოსაწყებად. შედარებისათვის: იმავე პერიოდში მთელ ქვეყანაში 148 603 პირს მიენიჭა თანადაფინანსება.

7. რა კრიტერიუმებით იზომება ამგვარი სტარტაპისთვის საგრანტო პროგრამების მდგრადობა და ეფექტიანობა?

ლონისძიება 6.2-ის პროექტების ბენეფიციარებს მოეთხოვებათ, მონიტორინგი გაუწიონ მიღებული გრანტის ფარგლებში განეული ხარჯების შესაბამისობას 12 თვის განმავლობაში კონტრაქტის/ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. ის მონაწილეები, ვისაც ფინანსური დახმარება მენარმეობის (მათ შორის კოოპერატივების და სოციალური კოოპერატივების) განვითარების მიზნით გამოეყო, ვალდებული არიან, დააბრუნონ მიღებული თანხები დაგროვილ პროცენტებთან ერთად, თუკი ისინი უკვე ოფიციალურად იყვნენ ჩართული რაიმე ბიზნესსაქმიანობაში ან იყვნენ კოოპერატივის წევრები 12 თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში ან, თუ მათ დაარღვიეს ხელშეკრულების რომელიმე პირობა, კერძოდ, ისეთი პირობა, რომელიც ეხება აღნიშნული თანხების გამოყენებას.

8. რა სახით ცხადდება და ვრცელდება ინფორმაცია საგრანტო პროგრამების შესახებ?

ევროკავშირის თანხებით თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებისას თითოეული პროექტის განუყოფელი ნაწილის სახით, ტარდება რიგი საინფორმაციო ღონისძიებებისა. ეს ეხება ღონისძიება 6.2-ს - მენარმეობის და თვითდასაქმების ხელშეწყობა და სტიმულირება - ფარგლებში განხორციელებულ პროექტებსაც.

ეს შედეგია სახელმძღვანელო მითითებების და საკანონმდებლო ნორმებისა, რომლებიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების განმახორციელებელი ყველა ორგანიზაციისთვის აწესებს საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიების ჩატარების მოთხოვნას. საოპერაციო პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ ფარგლებში საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიების წარმართვის კოორდინირებაზე პასუხისმგებლობა აკისრია მმართველ უწყებას - რეგიონული განვითარების სამინისტროს. კომუნიკაციის პროცესში ასევე ჩართული არიან სხვა დაწესებულებებიც, რომელთაც აკისრიათ მთლიანად პროგრამის განხორციელების პასუხისმგებლობა. ესენი არიან შუამავალი ორგანოები, განმახორციელებელი უწყება, მმართველი უწყება და, ასევე, ევროკომისია.

პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“ საკომუნიკაციო გეგმა 2007-2013 წლები-სათვის მომზადებულია. ეს არის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ადგენს 2007-2015 წლებში განსახორციელებელი საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობების საორიენტაციო მიმართულებებს. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის ფარგლებში კომუნიკაციის წესები, მათ შორის თანმიმდევრული ვიზუალიზაცია, იმიჯი და გზავნილები. მასში ასევე მოცემულია კომუნიკაციის წესები ყველა იმ დაწესებულებისა და უწყებისათვის, რომელთა ფუნქციები

და/ან მიმდინარე პროექტები აკისრებს მათ ამ თვალსაზრისით საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობების განხორციელებას. პროგრამის "ადამიანური კაპიტალი" და ევროპის სოციალური ფონდის საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობებში მონაწილე ყველა დანესებულებისთვის ზემოხსენებულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული და დამტკიცებული პრინციპების, პირობებისა და მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. დოკუმენტის სახელმძღვანელო პრინციპებში მოხსენიებულ ინფორმაციაში თანადაფინანსების შესახებ იგულისხმება, რომ მითითებული უნდა იქნეს ინფორმაცია ევროპის სოციალური ფონდის მხრიდან თანადაფინანსების შესახებ და გამოყენებული იქნეს პროგრამა „ადამიანური კაპიტალის“, ევროკავშირისა და ევროპის სოციალური ფონდის ლოგოები. ყველა ლოგო გამოყენებული უნდა იყოს ზემოხსენებულ დოკუმენტში აღწერილი პრინციპებისა და პირობების შესაბამისად.

სახელმძღვანელო პრინციპებში განმარტებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს პროექტების განხორციელებისას აღნიშნული ინფორმაციის მითითება. ევროპის სტრუქტურულ ფონდ ESF-ის შემთხვევაში საჭიროა ინფორმაციის დატანა პროექტის ოფისზე, რათა ყველასთვის თვალსაჩინო იყოს, რომ ეს არის კონკრეტული პროექტისთვის განკუთვნილი ოფისი (ოფისში მისულმა თითოეულმა ადამიანმა უნდა დაინახოს პროექტის ლოგო და განცხადება თანადაფინანსების შესახებ). ევროპის სტრუქტურული ფონდის სახსრებით შექმნილ აპარატურაზე, ავეჯსა და ნივთებზე მიკრული უნდა იყოს სტიკერი პროგრამის ლოგოთი და განცხადებით თანადაფინანსების შესახებ. იგივე ეხება პროგრამის ბროშურებსა და პოსტერებს, დასარიგებელ მასალებს, დოკუმენტებს, სამუშაო ადგილებს, პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებულ პუბლიკაციებს. თანადაფინანსების შესახებ ინფორმაცია უნდა გაჟღერდეს კონფერენციებზე, სემინარებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე, ბაზრობებზე და სხვა სარეკლამო-საინფორმაციო ღონისძიებებზე. ზემოხსენებულ სახელმძღვანელო პრინციპებში 2007-2015 წლებისათვის ასევე მოცემულია დეტალური აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ესა თუ ის ლოგო (შესაფერისი ზომა, ფერები და ა.შ.).

პოლონეთში საინფორმაციო და სარეკლამო კამპანიების მიზნებისათვის ინფორმაციის გავრცელებისა და რეკლამირების სხვადასხვა ფორმას იყენებენ. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერნეტი და მედია. ბევრი პროექტის ფარგლებში საქმიანობა და ზოგადად პროექტები რადიოსადგურებთან, პრესასთან და ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. ტარდება სარეკლამო კამპანიები, რომელთა მსვლელობისას ხდება სპეციალური სარეკლამო ადგილების გამოყენება. პროექტების ვებგვერდების მიზანი მხოლოდ საინფორმაციო ფუნქციის შესრულება კი არ არის, არამედ ისინი წარმოადგენენ გამოცდილების გაზიარების ინსტრუმენტსაც და პროექტის დასრულების შემდეგ ვებგვერდები შესანიშნავი ადგილია პროექტის შედეგების

შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად. პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციები იყენებენ მაღალკვალიფიციური სარეკლამო სტუდიების, პროექტის ლოგოს შესაქმნელად ქვეკონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული კომპანიების, ასევე სტამბების (რომლებიც ნაბეჭდ პროდუქციას - ფლაიერებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, პოსტერებსა და ა.შ. - აწვდიან მათ) მომსახურებას. პროექტების ფარგლებში სხვა ღონისძიებების ორგანიზებაც ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) გამოცდილი კომპანიების მიერ, რომლებიც ჩვეულებრივ პასუხს აგებენ კონკრეტული პროექტის გაშუქებაზე მედიაში. პროექტის რეკლამირება ასევე მოიცავს ბილბორდებს და/ან თეფშებს, დაფებს, რომლებიც ეკვრება ამ კონკრეტული პროექტის სახსრებით თანადაფინანსებულ შენობებზე, ახლად შექმნილ კომპანიებში და ა.შ.

სტარტაპ საბრანტო პროგრამებში
მონაწილეთა მაგალითები





ჰამლეტ კაპანაძე ნეროვანის დევნილთა ჩასახლებაში მეოთხე წელია მეუღლესთან, ორ ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს. ახალგაზრდობის წლები ცხინვალში გაატარა, სამაჩაბლოს ომის შემდეგ სოფელ ავენეში დასახლდა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე იქ ცხოვრობდა. ბა-

ტონი ჰამლეტი ქართულ-ოსური ოჯახიდანაა. დედით ოსია და ოსი ეროვნების ნათესავების გარემოცვაში გაიზარდა. მეუღლე - ქალაბატონი ნუნუ ყანდარელი ავენეის სკოლაში რუსული ენის პედაგოგად მუშაობდა.

ჰამლეტ კაპანაძეს სოფელში დიდი ავტო-სახელოსნო დარჩა, სადაც ხუთი თანასოფელი ჰყავდა დასაქმებული. ომის შემდეგ სამსახურის ძებნა თბილისის ავტო-სახელოსნოებში სცადა, თუმცა, სამუშაო იარაღების უქონლობის გამო მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

2011 წელს USAID-ის საგრანტო განვითარების პროგრამის ფარგლებში კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. კონკურსის ყველა ეტაპი წარმატებით გადალახა და დაფინანსებაც მიიღო. „ჩემმა რამდენიმე მეზობელმა ამ პროექტის დახმარებით მცირე ბიზნესი წამოიწყო, სწორედ მათ მირჩიეს კონკურსში მონაწილეობის მიღება. კონკურენცია ძალიან დიდი იყო და გამარჯვებას არ ველოდი. გრანტის თანხით კოტეჯის გვერდით სახელოსნო კაპიტალურად მოვაშენე და სამუშაო იარაღები შევიძინე. იარაღები საკმაოდ ძვირია და რომ არა გრანტი, საკუთარი ძალებით მათ შეძენას ვერ მოვახერხებდი“, - ამბობს ბატონი ჰამლეტი. დაფინანსების შემდეგ კლიენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და ხშირად რიგშიც უნევთ ყოფნა. გასულ წელს რამდენიმე ავტოდილერთან მოლაპარაკება შედგა და ახლა უკვე ყოველთვიურად 10-15 გასაყიდი მანქანის შეკეთებას უზრუნველყოფს. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, დანაზოგით სახლისთვის პერსონალური კომპიუტერი, საოჯახო ტექნიკა და ავეჯი შეიძინეს.

დაფინანსებიდან ერთი წლის თავზე ბატონი ჰამლეტი საკუთარ წამონყებას წარმატებულად აფასებს. თვლის, რომ თუ ადამიანს თავისი საქმე უყვარს და შრომა არ ეზარება, ყველაფერს მიაღწევს. ოცნებობს, პატარა შვილიშვილს თავისი ხელობა შეასწავლოს და მომავალში ერთად იზრუნონ ბიზნესის განვითარებაზე.

ლევან წერეთელი, ზაქარია მოსიაშვილი, თეიმურაზ ქებაძე

გორის რაიონის სოფელ მელვრეკისში მეფრინველეობის ფერმა უკვე რამდენიმე წელია არსებობს. ამჟამად ფერმაში მუდმივი სამსახური რვა ადამიანს აქვს და კიდევ ექვსი პერიოდულად იღებს დროებით სამსახურს.



ფერმის მფლობელი 3 ადგილობრივი მენარმეა: ლევან წერეთელი, ზაქარია მოსიაშვილი და თეიმურაზ ქებაძე. პარტნიორებმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე ორი წლით ადრე ააშენეს ფერმა და ბიზნესიც წარმატებით დაიწყო, მაგრამ ომის პერიოდში მეურნეობა მოიშალა, ფრინველი დაიხოცა და ტექნიკა გაიძარცვა. „როდესაც სოფელში დავბრუნდით ფერმაში მხოლოდ ცარიელი კედლები დაგვხვდა, არ ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა“ - იხსენებს ლევან წერეთელი.

პროექტში „2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისა და დაზარალებული სოფლების მოსახლეობის თვითდასაქმების ხელშეწყობა“, რომელიც 2010 წელს USAID-ის დაფინანსებით დაიწყო, მენარმეებმა კონკურსში მონაწილეობა ჯგუფურად გადაწყვიტეს და შერჩევის რამდენიმე ეტაპი წარმატებით გაიარეს. სანაყის ეტაპზე პროექტი 8000 ლარით დაფინანსდა, გრანტის თანხით შენობა კაპიტალურად გარემონტდა და პირველი საწარმოო ციკლის დასაწყებად 800 სახორცე ფრინველის წინილა შეიძინეს.

პროექტის ოფიცრების დახმარებით მოხერხდა პროდუქციის რეალიზაციის ახალი არხების შექმნა. მენარმეებმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს რამდენიმე შუამავალთან, რომლებიც პროდუქციის დისტრიბუციას გორში, რუსთავსა და თბილისში ეწევიან.

ბიზნესი სწრაფად ვითარდება და დღეს უკვე ფერმა 5000 ფრთა ქათამს ითვლის. საკვების დიდ ნაწილს ადგილობრივი მწარმოებლებისგან ყიდულობენ, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი ბიზნესის განვითარებაზე.

მენარმეები მუდმივად ახდენენ მოგების რეინვესტირებას ბიზნესში წარმოების დანახარჯების შემცირებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. ისინი ახლო მომავალში კიდევ ერთი ფერმის აშენებასაც აპირებენ, რისთვისაც არსებული შენობის მიმდებარედ 3000 მ² ფართობის მიწის ნაკვეთი უკვე შეიძინეს.



ნონა ანკარუნაშვილის ოჯახი ცხინვალის დანაა. სამაჩაბლოში პირველი ომის შემდეგ სოფელ თამარაშენში დასახლდა და 2008 წლის აგვისტოს ომამდე იქ ცხოვრობდა. ამჟამად ქალბატონი ნონას ექვსსულიანი ოჯახი სოფელი ბერბუკის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს, მათი შემოსავლის ძირითად

წყარო დასახლებაში მდებარე პატარა მაღაზიაა.

ქალბატონმა ნონამ მაღაზიის გახსნა მეუღლესთან ერთად ბერბუკში დასახლებისთანავე გადაწყვიტა. ოჯახს ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. თავდაპირველად მენარმეებმა მცირე ზომის სავაჭრო ჯიხური სესხად აღებული თანხით შეიძინეს და პირველადი მოხმარების პროდუქტის რეალიზაცია დაიწყეს. მოთხოვნა იზრდებოდა და მენარმეებმა ბიზნესის გაფართოების გზების ძიება დაიწყეს. მათ გადაწყვიტეს USAID-ის საგრანტო განვითარების პროგრამის ფარგლებში სიტისის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა.

მენარმეები ამბობენ, რომ მსგავს კონკურსში მონაწილეობა აქამდე არასდროს მიუღიათ და შესაბამისად, პროექტის წერის გამოცდილებაც არ ჰქონდათ. მათ გაიარეს ტრენინგი „ბიზნესის ადმინისტრირება მიკროსაწარმოსათვის“. ტრენინგზე მიღებული ცოდნა ძალიან დაეხმარათ ბიზნეს-გეგმის შემუშავებაში. ნონამ დაფინანსება მიიღო როგორც სიტისისგან, ასევე CHF-საგან.

მაღაზია, რომელიც საცხოვრებელი კოტეჯის მიმდებარედ, გზის პირას მდებარეობს, დღეს უკვე პროდუქციის მდიდარ ასორტიმენტს სთავაზობს მომხმარებელს და დიდი პოპულარობით სარგებლობს დასახლებაში, რადგან აქ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია სწრაფად და იაფად შეიძინოს სხვადასხვა პროდუქტი.

მენარმეები მიღებული შემოსავლებით კმაყოფილები არიან; ყოველთვის დროულად იხდიან კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ბიუჯეტში.

თამარ მირიანაშვილი ცხოვრობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში. 2007 წლამდე მუშაობდა სოფელ ნუკრიანის საკრებულოში.

„გამათავისუფლეს სამსახურიდან და დავინწყე ფიქრი, რა საარსებო საშუალება მეშოვა. გადავწყვიტე მაღაზიის აშენება, რადგან ვაჭრობაში მუშაობის გამოცდილება მქონდა და სპეციალობითაც ვაჭრობის ეკონომისტი ვარ“.

საკუთარ ეზოში ააშენა მაღაზია 20 კვმ. ფართობით, თუმცა საქონლის შესაძენად თანხას ვეღარ შოულობდა.

„სწორედ ამ დროს შევიტყე პროექტის „ბიზნესი სტარტისთვის“ შესახებ, რომელსაც საქართველოში ახორციელებდა სათემო განვითარების ცენტრი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმეღო პროგრამაში.“

პროექტის ფარგლებში გაიარა სასწავლო ტრენინგები, დაწერა ბიზნესგეგმა და მიიღო გრანტი 3000 ლარის ოდენობით.

„შევიძინე მაცივარი მაღაზიისთვის და საქონელი. გავხსენი შერეული ტიპის საუბნო მაღაზია. ვცდილობ, კონკურენციას გავუძლო და დავძლიო წინააღმდეგობები“.

2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე მაღაზიის ჯამური ბრუნვა შეადგენს 7000 ლარს. მაღაზიაში აქვს 3000 ლარამდე ღირებულების საქონელი.

„მართალია, გეგმის მიხედვით მოგება მეტი უნდა მქონოდა, მაგრამ ძალიან ბევრი ნისიები აქვთ, რაც თანხის ბრუნვას აფერხებს“.

ქალბატონი თამარი მაღაზიაში თავად მუშაობს. ჯერჯერობით მისი ყოველთვიური მოგება 100 ლარია, თუმცა იმედოვნებს, რომ მოგება აუცილებლად გაიზრდება.

ქალბატონი თამარი აღნიშნავს, რომ საკუთარი საქმის წამოწყებით შეძლო დაეძლია მრავალწლიანი გაუცხოება საზოგადოებისგან და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულიყო. მაღაზიის გახსნის შემდეგ მცირე სესხის მისაღებად მიაკითხა ერთ-ერთ საფინანსო ინსტიტუტს და ახლა მათ წარმომადგენლადაც (სოფლის კონსულად) მუშაობს სოფელ ნუკრიანში.





თამარ ყალაბეგაშვილი მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს სოფელ ნუკრიანში.

„პროფესიით ფილოლოგი ვარ. ვცდილობდი მეშოვა სამსახური, მაგრამ ყოველი ჩემი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ეთნოგრაფიული ეზოს მონყობის იდეა 2007 წლიდან გამიჩნდა, მას შემდეგ, რაც სიღნაღის რეაბილიტაცია მოხდა და სიღნაღი ტურისტულ ზონად გამოცხადდა. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ, თუ იდეას ხორცს შევასხამდი, ძალიან კარგ ბიზ-

ნესს ავანყობდი, რადგან ჩემი სახლის ეზოდან ალაზნის ველის გამორჩეული ხედი იშლება, რაც ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავს. იდეის განხორციელებაში ხელს მიშლიდა უფულობა. ვერც სესხი გამომეძონდა ბანკიდან, რადგან არც მე და არც ჩემი მეუღლე არსად არ ვმუშაობდით. ძალიან გამიმართლა, როდესაც მოვხვდი პროექტში „ბიზნესი სტარტისთვის“, რომელიც 2012 წელს განახორციელეს სოფელში სათემო განვითარების ცენტრმა და პოლონურმა ორგანიზაცია 4-მა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.“

მიიღო გრანტი 3000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხით შეიძინა სამშენებლო მასალა ღვინის მარნის ასაშენებლად და ეზოს კეთილმოსაწყობად.

„დავრეგისტრირდი ინდემნარმედ, რამაც მომცა შესაძლებლობა, ბანკიდან ბიზნესსესხი მიმეღო 4000 ლარის ოდენობით, რომლითაც შევძელი მშენებლობის დასრულება. მეუღლე გვერდში დამიდგა და უამრავი რამ თავისი ხელით გააკეთა. მიინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ გრანტით მიღებული საწყისი კაპიტალი რომ არა, ბანკი ბიზნესსესხს არ დამიმტკიცებდა და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დამრჩებოდა იდეა განუხორციელებელი.“

2013 წლის ზაფხულიდან ეთნოგრაფიული ეზო „ქიზიყი“ უკვე მასპინძლობს უცხოელ ტურისტებს.

„იმედი მაქვს, სამომავლოდ სტუმართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. სტუმრები ძალიან კმაყოფილები მიდიან და მომავალი ზაფხულისთვის წინასწარ გვითანხმდებიან. სამომავლოდ უკვე ვაპირებ დიდი კრედიტის გამოტანას ბანკიდან და საოჯახო სასტუმროს გაკეთებას, რადგან სტუმრები ითხოვენ, რომ ღამის გათევის შესაძლებლობაც ჰქონდეთ. ასევე, ვაპირებ, შევიძინო ფქვილი და სტუმრებს საკუთარ თონეში გამომცხვარი დოლის პური შევთავაზო. ეს ჩემი ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობასაც გაზრდის და სტუმართა კმაყოფილებასაც“.

გამოყენებული ლიტერატურა:

Hossain, N. and Zahra, N . 2010. Poverty Reduction and MDG Localization: a case study of the IGVGD Programme in Bangladesh

Morduch, J. 2001. Analysis of the Effects of Microfinance on Poverty Reduction

European Commission. 2010. Financial exclusion – Ensure an adequate access to basic financial services

Parker, J. and Pearce, D. 2001. Microfinance, Grants, and Non-Financial Responses to Poverty Reduction: Where Does Microcredit Fit? Consultative Group Focus Note No. 20. Washington, DC. World Bank

Macours. K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training . The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit

Fiszbein, A.m Kanbur, R., Yemtsov, R. 2013. Social Protection, Poverty and the Post-2015 Agenda. The World Bank Human Development Network Social Protection and Labor Department. Policy Research Working Paper

Nenova, T. 2009. Bringing finance to Pakistan's poor : access to finance for small Enterprises and the underserved. The World Bank.

The World Bank 2013. From Evidence to Policy: If you give the poor cash, does it help? Policy Brief.

